საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!
წელიწადი მეორე

კომუნისტი

ს. კ. პ.
ცენტრალურ და თბილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ. წ. არ. და მატრ.
დეპ. საბ.
ცაკის ორგანო.

რედაქცია:
თბილისი, კრუზენ. ქ. № 4. მე-3 სართული

მთავარი კანტორა:
თბილისი, რუსთაველის პრ. № 24
მე-2 სართული ტელეფ. 5—48

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე.

ტელეფ. ნომრები: რედაქტორის 14—76, მდივნის—19

ხელის მოწერის თვიური ფასი: საქართველოში 230.000 მ. კოლექტიური 200,000 მ. სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში 1200 მ. 1922 წ. ნიშნებით. განცხადება—10 ათ. მ. ნონპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 300 ათ. მ.

№ 1 ოთხშაბათი, 3 იანვარი 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5,000 მან. № 1

დღიური

მოსკოვში გაიხსნა საბჭოთა რესპუბლიკების საკავშირო ყრილობა

რუსეთის დელეგაციამ ლოზანის კონფერენციაზე წარადგინა მემორანდუმი მოკავშირეთა წინადადებების კრიტიკით.

კონფერენციაზე მდგომარეობა ისევ რთულია.

საბერძნეთი თავის ჯარების ნაწილობრივ მობილიზაციას აცხადებს.

პრემიერთა თათბირი გადაიდო 4 იანვრისათვის.

მიიღება ხელისმოწერა
გაზეთებზე 1923 წლის 1 იანვრისათვის

გაზეთი	რომელ ენაზე	ხელისმოწერის ფასი ერთი ეგზემპლიარი თვეში	
		ჩვეულებ.	კოლექტ.
„კომუნისტი“	ქართული	230.000	100 000
„პრავდა გრუზიი“ . . .	რუსული	230.000	100 000
„კარმირ ასტხ“	სომხური	230.000	100.000

კოლექტიური ხელისმოწერა მიიღება მხოლოდ მუშა-მოსამსახურეთაგან იმ პირობით, თუ გაზეთების კანტორაში წარმოდგენილი იქნება ხელისმომწერთა სახელდობრ სია, რომელიც შემოწმებული უნდა იქნეს ადგილკომის მიერ. დაწესებულებანი, ქარხკომები, ადგილკომები დაკლებულ ფასებით არ სარგებლობენ. პარტ. დაწესებულებანი, იმ პირობით თუ ხელისმოწერა გვიდის უშუალოდ მთავარ კანტორაში, სარგებლობენ დაკლებული ფასებით.

ცალკე ნომრის ფასი

1923 წ. 1 იანვრიდან იქნება 10 000 მანეთი ყველგან.

ხელისმოწერა მიიღება მხოლოდ და მხოლოდ საქ. პარტიულ საბჭოთა პრესის **ცენტრალურ კანტორაში** (გაზეთის ტრესტი) რუსთაველის პრ. 24. დილის 9—3 საათამდე.

1 იანვრიდან გაზეთებში „პრავდა გრუზიი“, „კომუნისტი“ და „კარმირ ასტღ“ განცხადებებზე დაწესებულია შემდეგი ფასი:

ტექსტის შემდეგ 20 ათასი მან. ნონპარელის პწკარზე.

ტექსტამდე 40 ათასი მან. ნონპ. პწკ. ან ტექსტის შუა.

მრავალჯერ გასამეორებელ განცხადებისათვის—შეღავათი, საკრედიტო 10 პროცენტით მეტი.

სამგლოვიარო განცხადება 300.000 მან. დღის 1-ლ საათამდე, შემდეგ კი 200 000 მანეთით მეტი.

განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლოდ დღის 1-ლ საათამდე.

ოთხშაბათს, 3 იანვარს 1923 წ.

საღამოს 5 ს. სახალხო სახლის შენობაში შესდგება ქ. თბილისის საბჭოს

კომფრაქციის სხდომა

ამავე დღის საღამოს 7 საათზე იქვე [illegible] შესდგება საბჭოს [illegible] სხდომა.

დღის წესრიგი:

1. მოხსენება ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების საბჭოთა ყრილობის შედეგების შესახებ.
2. ამხ. ბ. კაკაბაძის მოხსენება [illegible] ავჭალის ჰიდრო-ელექტრონის [illegible]
3. ქ. საბჭოს ხელ ახალი არჩევ[illegible]
4. მიმდინარე კითხვები.

კომფრაქციის და საბჭოს სხდომა შესდგება თავის დროზე დამსწრეთა რიცხვის მიუხედავათ.

მდივანი ჭუნდაძე. კრ. 828 (2—2)

თბილისის მომავალ საბჭოთა არჩევნებისათვის

რესპუბლიკის დედა ქალაქის მუშათა და წითელ-არმიელთა დეპუტატების ეხლანდელ საბჭოს, რომელიც არჩეული იყო ექვსი თვით, წარსული წლის ივნისში, უკვე გაუდის რწმუნების ვადა. ამ დღეებში დაიწყება თბილისის საბჭოს ხელახალი არჩევნები, რიცხვით მესამე, საბჭოთა წყობილების დამყარების დროიდან. თბილისის პროლეტარიატი, როგორც წინედ, ეხლაც მხურვალედ ჩაებმება საარჩევნო კამპანიაში. იგი თავის თავს წაუყენებს კითხვას, თუ ვის უნდა მისცეს ხმა, ვინ უნდა გაიყვანოს ახალ საბჭოში, როგორც თავისი წარმომადგენლები, თავის ინტერესების დამცველნი, ვის უნდა მიანდოს ქალაქის მეურნეობის ხელმძღვანელობა—გაძღოლა!

ეს იქნება ერთი მხრივ შეფასება საბჭოს ეხლანდელ შემადგენლობის მუშაობისა, მეორე მხრივ დასახვა მომავალ საბჭოს მოქმედების გეგმის, [illegible] „ნაკაზის“ მიცემა ახალ დეპუტატებისათვის; ამასთან ეს იქნება აგრეთვე გამოაშკარავება მუშათა კლასის საერთო სულიერ განწყობილების.

წინანდელ არჩევნებში თბილისის პროლეტარიატმა ნდობის ვოტუმი ერთხმად გამოუცხადა კომუნისტურ პარტიას, გაიყვანა საბჭოში ჩვენი პარტიის მიერ წამოყენებული კანდიდატები.

შეიძლება შეცდა მშრომელი მასსა, როცა მან ასეთი არჩევანი მოახდინა? შეიძლება ვინმე სხვა უკეთ მოაგვარებდა ქალაქის საქმეებს და უკეთ დააკმაყოფილებდა მუშათა მოთხოვნილებებს? თბილისის პროლეტარიატი კრიტიკულად განიხილავს ეხლანდელი საბჭოს მოღვაწეობას. რა გააკეთა მან ექვსი თვის განმავლობაში? ჩვენ აქ არ შეუდგებით საბჭოს მოღვაწეობის ანგარიშის გადმოცემას, ვიტყვით მხოლოდ, რომ საბჭო განაგრძობდა უდიდეს აღმშენებლობითი მუშაობას ქალაქის მეურნეობის, მრეწველობის და ფინანსების გაჯანსაღების საქმეში, და ამ მიმართულებით თვალსაჩინო შედეგებსაც მიაღწია.

ამომრჩეველი მუშა სისწორით გაითვალისწინებს დღევანდელი საბჭოს მოქმედების ყველა მხარეებს აგრეთვე იმ ობიექტიურ პირობებს, რომელშიც ეს მუშაობა მიმდინარეობდა, და ჩვენ ეჭვი არ შეგვეპარება, რომ მისი განაჩენი იქნება დადებითი; ის იტყვის, რომ წარსულ არჩევნების დროს სრულიად არ შემცდარა, როცა ნდობა გამოუცხადა კომუნისტურ პარტიას და მას მიანდო ცხოვრების ხელმძღვანელობა. დღესაც ჩვენი მუშათა კლასი იმავე პოზიციაზე დგას. ის არჩევნებში გაიყვანს თავის ჭეშმარიტ წარმომადგენლებს, მშრომელ მასსის ინტერესებისათვის თავდადებულ მებრძოლებს, ესე იგი კომუნისტურ პარტიის კანდიდატებს.

[illegible] თბილისის პროლეტარიატი, [illegible] იმისა, რომ თავის მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის ზრუნვის ქალაქის მეურნეობის ხელმძღვანელობას სანდო პარტიის ხელში [illegible],—ერთხელ კიდევ საჯაროდ [illegible], რომ ის ძველებურად რევოლუციონური სულისკვეთებისამებრ რჩება.

ფრიად მნიშვნელოვანი გარემოება, იმის დამამტკიცებელი იქნება, რომ ახალმა ეკონომიურმა პოლიტიკამ ვერ შესძლო მუშათა კლასის [illegible] ბურჟუაზიულ სტიქიის [illegible] პროლეტარულ დიქტატურის [illegible], როგორც ამაზე გაიძახდნენ საბჭოთა ხელისუფლების და კომუნისტური პარტიის მოძულენი და სხვ. პირ-იქით, ეს ახალი ეკონომიური პოლიტიკა სავსებით გამოყენებულ იქნა საბჭოთა რეჟიმის და მუშათა კლასის ბატონობის განმტკიცებისთვის. კერძოდ ქალაქის საბჭოს მუშაობაც იქითკენ იყო მიმართული.

შესაძლოა, ახალ ეკონომიურ პოლიტიკის გზით ცხოვრების ხელმძღვანელობა, მუშათა სახელმწიფოს განმტკიცება პროლეტარიატის სასარგებლოდ შეუძლიათ მხოლოდ კომუნისტებს, რომელთათვის იგი საშუალებაა მუშათა კლასის დღევანდელი პოზიციის შენარჩუნების და რევოლუციის საბოლოო გამარჯვებისათვის. [illegible] დანარჩენი პარტიები და ჯგუფი, დღევანდელ მდგომარეობას ამის საშუალება მისცეთ გამოიყენენ მშრომელ მასსის დამონებისა ბურჟუაზიის გაბატონებისათვის.

მუშათა კლასმა საერთოდ, მით უმეტეს მისმა მოწინავე რაზმმა, თბილისის პროლეტარიატმა, ეს კარგად იცის. და მომავალ არჩევნებში გამოვა ლოზუნგით: ჩვენ უწინდებურად ჩვენ საქმეების გაძღოლას ვანდობთ კომუნისტურ პარტიას, არც ერთი ხმა პროლეტარულ მოღალატეებს: მენშევიკებს და მათ თანამოაზრეთ.

ტფილისის ქალ. აღმასკომის მოღვაწეობა 1922 წელში

(საუბარი ქალაქის აღმასკომის თავმჯდომარესთან ამხ. ლ. დუმბაძესთან).

თბილისის აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. ლადო დუმბაძემ ჩვენ თანამშრომელთან საუბრის დროს ქალაქის აღმასკომის მიერ 1922 წლის განმავლობაში გაწეულ მუშაობის შესახებ განაცხადა:

„როგორც მოვლენამ საერთოთ დამახასიათებელი არა მარტო საქართველოსა და რუსეთისათვის, არამედ ეკონომიურად უფრო ძლიერ ქვეყნებისათვის, იმპერიალისტურმა ომმა გამოიწვია მრეწველობის და სასოფლო მეურნეობის დაშლა.

ამიტომ სამეურნეო ფრონტზე მცირეოდენი გამარჯვებაც კი დიდ წარმატებათ უნდა იქნას აღიარებული. და საჭიროა აღვნიშნოთ, რომ თბილისმა დაამთავრა საკალენდარო წელიწადი დიდი წარმატებით და მიღწევით.

1922 წლის განმავლობაში სამეურნეო-ეკონომიურ ცხოვრების ყველა დარგებში გაკეთებულია ყველაფერი, რის გაკეთებაც შესაძლებელი იყო არსებულ პოლიტიკურ და ეკონომიურ პირობებში.

ქალაქის ცხოვრებაში ეს წელიწადი უნდა ჩაითვალოს ქალაქის მეურნეობის ყველა დარგებში ძლიერი შემოქმედებითი და სააღმშენებლო მუშაობის წელიწადათ.

ავჭალის ჰიდრო-ელექტრონული სადგური

როგორც ყველაზე დიდი მიღწევა, უნდა აღვნიშნოთ, რომ შედარებით მოკლე პერიოდის განმავლობაში ქალაქმა მოასწრო ზემოავჭალაში ჰიდრო-ელექტრონის სადგურის საძირკვლის ჩაყრა, იმ სადგურის, რომელიც შეძლებას მოგვცემს მოვახდინოთ ქალაქის ელექტროფიკაცია და რომელიც მისცემს ენერგიას ახლო მდებარე სოფლებსაც.

ჭაობიან ადგილების ამოშრობა.

სხვა ღონისძიებათა შორის, რომელიც ქალაქის აღმასკომმა გაატარა, საჭიროა აღინიშნოს ამოშრობა საბურთალოს ჭაობიან ადგილებისა, სადაც მძვინვარებდა მალარია და მცხოვრებლებს ანადგურებდა. ამოშრობას შედეგად მოჰყვა მალარიისაგან სიკვდილის პროცენტის შემცირება. 21 წელში მალარიისაგან გარდაიცვალა რამდენიმე ასეული მცხოვრები, 22 წელში კი იყო სულ 5-6 შემთხვევა.

ქალაქის სასაკლაოები.

ქალაქის სასაკლაოებით და იქ არსებულ საყინულით უფრო უკეთ სად სარგებლობის [illegible], დაყენებულია [illegible] ტრამვაის ხაზის გაყვანა [illegible] ნავთლუღის გვერდით ქალაქის სასაკლაოებამდე.

აბანოები.

აღდგენილ იქნა ქალაქის დანგრეული აბანოები და ამის გამო [illegible] მოსიარულეთა რიცხვი განუწყვეტლივ იზრდება.

მაგალითად იანვარში აბანოთი სარგებლობდა მხოლოდ 44 ათასი კაცი, ხოლო ოქტომბერში 88,000 კაცი. მთელ რიგ აბანოების აღდგენის გამო გაიზარდა, არა მარტო ნაყოფიერება, არამედ შემოსავლიანობაც და ნოემბერში შემოსავალი 6-ჯერ მეტი იყო ვიდრე იანვარში.

ქუჩების შეკეთება.

შეკეთებულია ქალაქის ქუჩების უმრავლესობა, გაშენებულია ქალაქის ახალი ბაღები (სკვერები) გაუმჯობესდა წყლის მიწოდება, ტრამვაით მიმოსვლა, გაძლიერდა მუშაობა ქალაქის გასაუმჯობესებლად და სხვა.

საბინაო საქმე — მუშათა ბინები.

მუშა-მოსამსახურეთა საბინაო ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების მიზნით დაწყებულია მუშაობა მუშათა მოსახლეობის გასაშენებლად და ასეთი მოსახლეობის (ამხ. ლენინის სახელობის) საძირკვლის ჩაყრა მოხდა 5 ნოემბერს, ვერის რაიონში. მომავალში განზრახულია მთელ რიგ ასეთ მოსახლეობის გაშენება. ეს მოსახლეობა მისცემს საშუალებას მშრომელ მასებს ისარგებლონ არა მარტო სათანადო საბინაო პირობებით არამედ გამოიყენონ თავისუფალი დრო თავიანთ პატარა ბოსტნებში და ბაღჩებში სამუშაოთ.

ნიაღვრების წინააღმდეგ ბრძოლა.

ნიაღვრებით გამოწვეულ ზარალის წინააღმდეგ საჭირო იყო ბრძოლა, რომელიც უნდა გამოხატულიყო ქალაქის მიდამოებში ტყის გაშენებაში. ამ მიზნით უკვე დაიწყო მუშაობა და სწარმოებს მთების მაღლობებზე პარალელურ არხების გაყვანა. ეს მუშაობა დაიწყო კვირეულის საშუალებით.

ჯანმრთელობის საქმე.

უყურადღებოთ არ იქნა დატოვებული აგრეთვე ჯანმრთელობის საქმე. 22 წლის დასაწყისში სანიტარიის მხრით ქალაქი დიდ საშიშროებას წარმოადგენდა. აზიური ხოლერა გაჩნდა მარტში იმ დროს, როდესაც პარტახტიანი ტიფის მრუდე დაცემის ნაცვლად ერთბაშად მაღლა იწევდა. მაგრამ მთელ რიგ საწინააღმდეგო ზომების მიღებით ხოლერა თავიდან იქნა აშორებული. გარდა ამისა ქალაქის ჯანმრთელობის განყოფილებამ სასწრაფო დახმარების სადგურის საშუალებით ჩქარი დახმარება აღმოუჩინა მცხოვრებთ 886 ჯერ; ვენერიულ ავადმყოფობასთან საბრძოლველად დეკემბერში დაარსდა ბიურო ამ ავადმყოფობის წინააღმდეგ ზომების მისაღებად.

საერთოთ ქალაქის აღმასკომის მოღვაწეობა 22 წლის განმავლობაში მეტად მრავალფეროვანი იყო და როგორც ზევით ვსთქვით უნდა აღვნიშნოთ, რომ მუშაობას ეტყობა თანდათანობითი წარმატება.

საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების საკავშირო ყრილობა

დელეგაციების კონფერენცია.

მოსკოვი 2 იანვარი. 30 დეკემბერს შესდგა რ. ს. ფ. ს. რ., უკრაინის, ამიერ-კავკასიის ფედერაციის და ბელორუსიის რესპუბლიკების საბჭოთა ყრილობების მიერ არჩეულ სრულუფლებიან დელეგაციების კონფერენცია. პრეზიდიუმის შემადგენლობაში არიან: ამხ. კალინინი (რ. ს. ფ. ს. რ.), პეტროვსკი (უკრაინის ს. ს. რ.), ცხაკაია (ამიერ-კავკასიის ს. ფ. ს. რ.) და ჩერვიაკოვი (ბელორუსიის ს. ს. რ.) კონფერენციამ დაამტკიცა დეკლარაციის პროექტი საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირის დაარსების შესახებ და ხელშეკრულების პროექტი მათ შორის.

ყრილობის გახსნა.

— დიდ თეატრში საზეიმოდ მორთულ დარბაზში გაიხსნა საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების საკავშირო ყრილობა. ყრილობაზე მონაწილეობას ღებულობს 1217 დელეგატი საბჭოთა რუსეთიდან, 354 დელეგატი უკრაინიდან, 78 დელეგატი ამიერ-კავკასიიდან, 28 დელეგატი ბელორუსიიდან

ამხ. სმიდოვიჩის სიტყვა.

გახსნა რა ყრილობა სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასკომის უხუცესმა წევრმა სმიდოვიჩმა სთქვა: „ყველა საბჭოთა რესპუბლიკების მშრომელებმა თავიანთი საბჭოთა ყრილობებზე გამოსთქვეს ერთსულოვანი სურვილი საბჭოთა რესპუბლიკების უფრო მჭიდროდ გაერთიანების შესახებ. ამ სურვილს მხარი დაუჭირა რ. ს. ფ. ს. რ. მშრომელებმა საბჭოთა მეათე ყრილობაზე. [illegible] რესპუბლიკების გაერთიანება დამყარებული არა ძალადობაზე, [illegible] მშრომელთა კეთილ-სურვილზე არის ძლიერი [illegible] საბჭოთა რესპუბლიკების [illegible] გამარჯვებისათვის.

[illegible]

[illegible] 20 კაცის შემადგენლობით. [illegible] დელეგატები წინადადებ[illegible] ლენინის ყრილობის საპატიო [illegible] არჩევის შესახებ.

სტალინის მოხსენება.

მომხსენებელი სტალინი [illegible] „დღევანდელი დღე [illegible] ახალი რუსეთის ზეიმს, [illegible] ძველი რუსეთის იმპერიის [illegible] გააერთიანა ერები საბჭოთა რესპუბლიკების თავისუფალ [illegible] კავშირში, რომელიც [illegible] მომავალ მსოფლიო კავში[illegible]“. [illegible] დეკლარაციის და საკავშირო ხელშეკრულებას.

ფრუნზე საბჭოთა რესპ[illegible] დელეგაციის სახელით [illegible] „ხელშეკრულების ტექსტი [illegible] იყო ადგილობრივ, [illegible] საბჭოთა ყრილობებზე [illegible] იმის გარანტი[illegible] შეკრულებაში ყველაფერი [illegible] წინდებული და აწონ-დაწონილი [illegible] რამ დელეგაციებმა [illegible] გასინჯათ ხელშეკრ[illegible]

[illegible] ში, ჯერ [illegible] გორც სა[illegible] ადგილო[illegible] ასკენისათვის [illegible] ხელშეკრულე[illegible] მეორე[illegible] [illegible] ობისათვის.

[illegible] შემოაქვს—არ [illegible] მუხლობ[illegible] დაკმაყოფილდეს [illegible] საბჭოთა სოციალის[illegible] კავშირის და[illegible]

[illegible] ერთხმად მიღე[illegible]

[illegible] და ხორეზმის [illegible] ხელით გამო[illegible] და საფარ[illegible] აღნიშნავენ, [illegible] ჯერ კიდევ [illegible], მაგრამ ისინი [illegible]. ორატორები [illegible], რომ ახლო მომავალში [illegible] შეუერთდებიან [illegible] სოციალისტურ [illegible]

[illegible] ყრილობის კომის[illegible] [illegible] ამოცანა [illegible] აქვს მსოფ[illegible] პირველად ერთა [illegible] თავიანთ უფ[illegible] თვითგამორკვევი[illegible] თავისუფალ კავ[illegible]

[illegible] სახელით ყრილო[illegible] [illegible] სარდალი კა[illegible] [illegible], ამბობს ის, [illegible] როგორც [illegible] ერების ძმო[illegible]

[illegible] ამცირებს თავის შე[illegible] 300,000 კაციდან [illegible] ნაწილების მას. [illegible] კარგათ [illegible] წითელი არმია [illegible] რომ ის პირნა[illegible] [illegible] საქმეს.

[illegible] წინადადება შემო[illegible] [illegible] საკავშირო ყრილობის [illegible] აღსანიშნავად მოსკოვში [illegible] სახლი.

[illegible] წინადადება შემოაქვს [illegible] აღსანიშნავად გაიხსნას [illegible] სამეურნეო [illegible]

[illegible] შემოაქვს წინადადება— [illegible] გამოაცხადონ უქმე დღეთ.

[illegible] წინადადებას ღებულობენ [illegible]

[illegible] ცენტრალურ აღმასრულ[illegible] [illegible] შემადგენლობა [illegible] საკავშირო ცაკის შემა[illegible] საკავშირო ცაკის საერ[illegible] უდრის 371 კაცს, [illegible]. წევრების რიცხვი [illegible] საბჭოთა რუსეთიდან— [illegible] [illegible]იდან—68, ამიერ-კავკა[illegible] და ბელორუსიიდან—7. [illegible] საზეიმო სხდომის [illegible] ყრილობა დაიხურა.

საბჭოთა ყრილობის სამხედრო დელეგატების თათბირი

[illegible]

მოსკოვი. 2 იან. [illegible] გაიმართა საბჭოთა ყ[illegible] სამხედრო დელეგატების [illegible] ტროცკის თავმჯდომა[illegible], [illegible] მელსაც ხანგრძლივი [illegible] ხვდენ.

სკლიანსკიმ მოხსენებაში, [illegible] სასურველი შედეგები, [illegible] ჰყვა არმიის რეორგანიზაციას და შემცირებას.

ანტონოვმა არმიის პოლიტიკურ მდგომარეობის შესახებ გაკეთებულ მოხსენებაში აღნიშნა, რომ საჭიროა განვითარდეს წითელ არმიის შემადგენლობაში ამხანაგური კავშირი და პოლიტიკური შეგნება.

ორლინსკიმ მოხსენებაში შეფობის შესახებ აღნიშნა, რომ შეფობა ძლიერი ფაქტორი აღმოჩნდა არმიის მშრომელთა მასსებთან დასაკავშირებლად. შეფობა გავრცელდა ყველა ჯარის ნაწილებზე, ყველა სამხედრო სასწავლებლებზე და ჰოსპიტალებზე მნიშვნელოვან ნაწილებზე.

[illegible] უკანასკნელ 2 თვის განმავლობაში შეფების ფულით დახმარება უდრის 1.200.000.000 მან. საჭიროა შეფების თანხების უფრო გეგმიანი განაწილება.

[illegible]მ დახურა თათბირი შემდეგი სიტყვებით: „გაუმარჯოს წითელ არმიას და ფლოტს“. ამ სიტყვებმა [illegible] ერთსულოვანი ტაში [illegible] და „ინტერნაციონალის“ სიმღერა.

შემოდგომის თესვის აგიტ-კამპანია.

მოსკოვი. 2 იანვარი. საბჭოთა ყრილობის სააგიტ-საპროპაგ. განყოფ. წარმომადგენლების, საგუბერნიო და სამაზრო კომიტეტების დელეგატების თათბირზე მიღებულ იქნა შემოდგომის თესვის აგიტ-კამპანია. იანვარში მოწვეულ იქნება გლეხთა ფართო კონფერენციები საგადასახადო პოლიტიკის, სასკოლო საქმის და სხვ. საკითხების განსახილველად.

ლოზანის კონფერენცია

ჩიჩერინის განცხადებანი

ნაუენი, 31 დეკემბერი. ჩიჩერინმა ამერიკელ კორესპონდენტებს ლოზანაში განუცხადა, რომ თუმცაღა ჯერ ჯერობით არ განხორციელდა რუსეთის იმედები შავ ზღვაზე მშვიდობიანობის დამყარებისათვის, ვინაიდან რუსეთის წინადადების მიუხედავად, რომლითაც შეიძლებოდა მშვიდობიანობის დაცვა, მოკავშირეები აყენებენ მუდმივ საომარ [illegible] ქარის სიტყვებს, რუსეთი [illegible] ნამკარგავს იმედს, რომ [illegible] ვის მიზანს—ნამდ[illegible] ნების ხაზღვლება[illegible]

ინტერვიუ ამხ. ჩიჩერინთან.

მოსკოვი, 2 იანვარი. „ჰუმანიტეს“ კორესპონდენტთან საუბარში ჩიჩერინმა განაცხადა: „მოკავშირეების პრესა ამტკიცებს, რომ საკითხი სრუტეების შესახებ მოწესრიგებულია ლოზანის კონფერენციაზე ეს არ არის მართალი: ოსმალეთს არ სურს დაემორჩილოს [illegible] საერთაშორისო [illegible] მის ასე,—[illegible] ვინაიდან [illegible] მოცილებული იქნება [illegible] და დაპყრობის [illegible] მუშაობის გეგმს. საბჭოთა რუსეთი არ დაეთანხმება ამ[illegible]

რადიო-დეპეშები

აღმოსავლეთში ინგლისის ბატონობაზე.

რუსეთის მემორანდუმი.

ბორდო, 31 დეკემბერი. რუსეთის დელეგაციამ წარადგინა კონფერენციაზე მემორანდუმი, რომელშიაც მოყვანილია რუსეთის მოთხოვნილება კონფერენციის ყველა საკითხებში მისი მონაწილეობის შესახებ. მემორანდუმი აკრიტიკებს მოკავშირეების მიერ წარმოდგენილ ყველა დებულებებს ახლო აღმოსავლეთში ზავის ჩამოგდებისათვის.

კაპიტულაციის ქვეკომისიაში.

მოსკოვი, 2 იანვარი. 28 დეკემბერს ლოზანაში შესდგა კაპიტულაციების ქვეკომისიის პლენარული სხდომა. მომხსენებელმა განაცხადა, რომ ოსმალებმა ქვეკომისია ჩიხში მოამწყვდიეს, მან აღნიშნა, რომ მოკავშირეები არ ენდობიან ოსმალეთის სასამართლოს იმ საკითხებში, რომელიც უცხოელებს ეხება. ისმეტ ფაშამ უპასუხა, რომ მოკავშირეების შიში უსაფუძვლოა და რომ ოსმალეთში ამჟამად ისეთივე წესწყობილებაა, როგორც სხვა ქვეყნებში.

შემდეგ გამოვიდა კერზონი, რომელმაც აღნიშნა ისმეტ-ფაშის შეურიგებელი პოზიცია და განაცხადა, რომ შემდეგი მოლაპარაკება სრულიად უნაყოფო იქნება, თუ ოსმალები მომავალშიაც დაადგებიან შეურიგებლობის პოლიტიკას. ამერიკის წარმომადგენელმა ჩაილდმა განაცხადა, რომ ის უერთდება მოკავშირეების შეხედულებას.

ოსმალეების დაჟინებითი მოთხოვნილების გამო.

მანჩესტერი, 31 დეკემბერი. 29 დეკემბერს ეროვნულ უმცირესობათა დაცვის კომისიის სხდომაზე, ინგლისელები, ოსმალოების წინააღმდეგობისა და დაჟინებითი მოთხოვნილების გამო, იძულებული იყვნენ უკან წაეღოთ თავიანთი წინადადება ეროვნულ უმცირესობათა დაცვის კომისიაში ერთა ლიგის წარმომადგენლობის შესახებ.

ამერიკის მოთხოვნილებანი.

[illegible], 31 დეკემბერი. „ტან“-ის [illegible] ამერიკის წარმომადგენელმა ჩაილდმა შეიტანა უმცირესობათა დაცვის ქვე-კომისიაში წინადადება, რომელშიაც ის მოითხოვს ოსმალეთის ეროვნულ უმცირესობათათვის ეროვნულ კერების დაარსებას.

მოსკოვი. 2 იანვარი. ლოზანიდან 29 დეკემბერს იტყობინებიან: „ლოზანაში მდგომარეობა უცვლელია. ინგლისის უკანასკნელი ნოტის საპასუხო მემორანდუმში ისმეტ-ფაშა იცავს თავის წინანდელ მოთხოვნილებას მოსულისა ოსმალეთისათვის დაცვის შესახებ.

— „ჩიკაგო ტრიბუნ“-ის კორესპონდენტს ისმეტ-ფაშამ განუცხადა: ინგლისი ცდილობს აიძულოს ოსმალები უარი სთქვან მოსულზე და ამ მიზნით გართულებებს ქმნის სხვა საკითხებში. ეს ცდა უშედეგოდ ჩაივლის, რადგან ოსმალეთს მტკიცედ გადაწყვეტილი აქვს არ დასთმოს არაფერი სრუტეების საკითხში.

— ლოზანაში ოსმალეთის დელეგატებმა რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტს განუცხადეს, რომ ისინი არავითარ შემთხვევაში არ დასთანხმდებიან საზავო ხელშეკრულებაში უცხოელთათვის გარანტიების მუხლის შეტანაზე. ოსმალეთის დელეგატებმა მოკავშირეებს მოსთხოვეს განმარტება ინგლისის ფლოტის გადაჯგუფების შესახებ.

ისეთივე სიროთულე.

ლონდონი, 31 დეკემბ. კონფერენციაზე მდგომარეობა ისეთივე რთულია. მოკავშირეების წრეებში ფიქრობენ, რომ ოსმალოები ცდილობენ ისარგებლონ დროით, ელოდებიან რა პარიზის თათბირის შედეგებს.

საბერძნეთის ჯარების კონცენტრაცია.

ბორდო, 31 დეკემბერი. საბერძნეთის ცნობების მიხედვით, საბერძნეთის მთავრობა დროშის ქვეშ რაზმავს 3 ჰასაკის ჯარს. ზოგიერთი გაზეთები იტყობინებიან, რომ ფრაკიაში ხდება საბერძნეთის ჯარების კონცენტრაცია.

ოსმალეთის დელეგაციის პროტესტი.

პარიზი, 2 იანვარი. უმცირესობათა დაცვის ქვეკომისიაში ოსმალეთის დელეგაციამ განაცხადა პროტესტი ამერიკის დელეგატის მოთხოვნილების გამო, ვინაიდან უკანასკნელის დასწრება კონფერენციაზე განისაზღვრება მეთვალყურეობის უფლებით.

კერზონის პასუხი.

პარიზი, 2 იანვარი. ისმეტ-ფაშამ მიიღო კერზონის პასუხი მოსულის ვილაიეტის საკითხის შესახებ. კერზონი თანხმაა რათა სირიის და ირაკის საზღვრების საკითხი განხილული იქნეს ტერიტორიალურ კომისიაში და აცხადებს, რომ ოსმალეთის დელეგაციის წინადადება მოსულის საკითხის შესახებ სავსებით მიუღებელია ინგლისის მთავრობისთვის.

კერზონის ჩასვლა პარიზში.

ლონდონი, 2 იანვარი. ორშაბათს კერზონი ჩავიდა პარიზში და ჰქონდა ხანგრძლივი თათბირი ბონარ-ლოუს-

თავსამტვრევი საკითხი.

მანჩესტერი 30 დეკემბერი. „მატენის“ თანამშრომელთან საუბრის დროს ისმეტ ფაშამ განაცხადა, რომ მოსულის ვილაიეტის საკითხი წარმოადგენს კონფლიქტის იმ მომენტს, რომელსაც შეუძლია მთელი კონფერენციის მუშაობა არარად აქციოს. ისმეტ-ფაშის სიტყვით აგრეთვე მოულოდნელად გამწვავდენ სხვა საკითხებიც.

ოსმალეთი და ერთა ლიგა.

პარიზი. 30 დეკემბ. ოსმალეთის ოპოზიციის გამო, ინგლისის დელეგაციამ უკანვე წაიღო ერთა ლიგაში შეტანილი წინადადება ოსმალეთის ლიგაში შესვლის საკითხის განხილვის შესახებ.

ამნისტიის საკითხი.

პარიზი. 30 დეკემბ. ამნისტიის საკითხის შესახებ კონფერენციის ქვეკომისიამ ვერ შეთანხმდნენ. დაარსდა კომისია შემარიგებელი ტექსტის შესადგენად.

პრემიერთა თათბირი

ამერიკა და პრემიერთა თათბირი

ლონდონი. 2 იანვარი, ვაშინგტონიდან მიღებული ცნობებიდან ირკვევა, რომ ამერიკა არ აპირებს თავის წარმომადგენლის გაგზავნას პარიზის პრემიერთა თათბირზე.

პარიზის თათბირის გადადება

მანჩესტერი. 31 დეკემბერი. იტალიის გარეშე საქმეთა სამინისტრო იტყობინება, რომ პარიზის თათბირი, ინგლისის პრემიერის მოთხოვნის თანახმად, გადადებულია 4 იანვრისათვის.

ახლო აღმოსავლეთში

დიდ ეროვნულ კრებაში.

მოსკოვი. 2 იანვარი. ამ დღეებში ჰასან-ბეი გამოვიდა დიდ ეროვნულ კრებაში მოხსენებით ლოზანის კონფერენციის შესახებ. ფიქრობენ რომ ანგორის ნაციონალისტები მოითხოვენ მოსულის ნავთის ტერიტორიის ოსმალეთისათვის დატოვებას.

ანგორის გარეშე საქმეთა მინისტრმა რეუფ-ბეიმ სიტყვაში, რომელიც წარმოსთქვა ეროვნულ კრებაში განაცხადა: „მიუხედავად იმისა, რომ ოსმალეთი გულწრფელად მიისწრაფვის ზავისაკენ, ლოზანაში ვერ მოხერხდა შეთანხმების მიღწევა. შეიძლება ჩვენ არმიას მოუხდეს ბრძოლა ჩვენი კანონიერი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.

გერმანიის ამბები

მიუნხენის ნაციონალისტები.

მოსკოვი. 2 იანვარი. მიუნხენში ნაციონალ-სოციალისტებმა მთელი ქალაქი შეაშფოთეს მუსიკით. მათი ბელადი მიულერი მოუწოდებდა მათ სოციალისტების საწინააღმდეგო ბრძოლისაკენ.

ბერლინის პროფკავშირებში

მოსკოვი. 2 იანვარი. მეტალისტთა პროფკავშირების ბერლინის ორგანიზაციის საერთო კრებამ აირჩია ახალი პრეზიდიუმი, წარმოდგენილი კომ. პარტიის მიერ. უწინდელი პრეზიდიუმის წევრთა უმრავლესობას [illegible] შეადგენდენ.

ანტანტა და გერმანია

დაპყრობილ ოლქებში

ნაუენი 31 დეკემბერი. საფრანგეთის საოკუპაციო ხელისუფლებამ აკრძალა დაპყრობილ რაიონში გაზეთ „მიუნხენერ ნეიესტე ნახრიხტენ“-ის გავრცელება სამი თვით [illegible] პოლკოვნიკის [illegible] წერილის გამო, რომელშიაც [illegible] ოკუპანტების [illegible] ყოფაქცევას.

საფრანგეთი და გერმანია

მთავარი მიზანი.

მანჩესტერი. 31 დეკ. პუანკარეს განცხადების საპასუხოდ, რომელიც მან გააკეთა სენატში იმის შესახებ, რომ ხმები თითქოს საფრანგეთის ყოველი ცდა მიმართული იყოს გერმანიის განადგურებისაკენ, არის მხოლოდ და მხოლოდ ცილისწამება, თეოდორ ვოლფმა „ბერლინერ ტაგებლატ“-ში გამოაქვეყნა იზვოლსკის დეპეშა ბორდოდან (1914 წ. ოქტომბრიდან), რომელიც სახელს უტეხს საფრანგეთის მთავრობას, და რომლიდანაც აშკარად სჩანს საფრანგეთის მთავარი მიზანი და სურვილი გერმანიის ეკონომიური და პოლიტიკური ძალის განადგურება, რათა უკანასკნელის ნანგრევებზე შესძლოს თავისი ეკონომიური და პოლიტიკური ჰეგემონიის შექმნა.

მცხოვრებთა მოთხოვნილება.

მანჩესტერი, 31 დეკ. საარის ოლქის მცხოვრებლები მოითხოვენ ერთა ლიგისაგან საფრანგეთის ჯარების დაუყოვნებლივ გამოყვანას. ისინი მიუთითებენ იმ საკვირველ მდგომარეობაზე, როდესაც მათ ოლქში, რომელიც ერთა ლიგის მართვა-გამგეობის ქვეშ იმყოფება, ჯარები ემორჩილებიან არა ლიგას, არამედ რატომღაც საფრანგეთის სამხედრო მინისტრს.

ბონარ-ლოუს პროექტი.

მანჩესტერი. 31 დეკემ. ფიქრობენ, რომ ბონარ-ლოუს პროექტის თანახმად, გერმანიის ვალების რაოდენობა იქნება 40 50 მილიარდი ოქროს მარკა. მორატორიუმის მთელი დროის განმავლობაში გერმანიამ უნდა განაგრძოს პროდუქტების მიწოდება, მაგრამ მოკავშირეებმა არ უნდა დასდონ ამ გადასახადის შესახებ რაიმე განსაკუთრებული ხელშეკრულებანი და ინგლისი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ საფრანგეთის მიერ წამოყენებული სანქციები არ იქნება გატარებული. ბერლინის წრეებში ფიქრობენ, რომ ამ პროექტში [illegible] გერმანიის გადახდის უნარი და ამიტომ აუცილებლად [illegible] მას სავსებით შეცვლას.

კანონ პროექტი გარანტიების შესახებ

მანჩესტერი, 31 დეკემბერი. „პტი პარიზიენი“ იტყობინება, რომ განზრახულია გერმანიისათვის შემდეგი გარანტიების შემოღება: ნახშირზე გადასახადის გადიდება, რაც [illegible] 448 მილ. ოქროს მარკათ; დაკავებულ ოლქებში [illegible] და აგრეთვე უძრავი ქონების, ტყეების და მაღაროების შემოსავლის ჩამორთმევა გერმანიისათვის. ეს გარანტიები დაუყოვნებლივ უნდა იქნეს განხორციელებული.

ინგლისის განზრახვები.

ლონდონი. 2 იანვარი. ინგლისიდან ნიუ-იორკში ჩასულმა ამერიკელმა გარვეიმ არ მიიღო პრესის წარმომადგენლები. მაგრამ, ფიქრობენ, რომ ინგლისს სურს გადუხადოს ვალები ამერიკას.

გერმანიის წინადადება.

ლონდონი, 2 იანვარი. პარიზში მიემგზავრება საკონტრიბუციო კომისიის გერმანიის წარმომადგენელი ბერგმანი, რომელიც პარიზის პრემიერთა თათბირზე [illegible] მთავრობის ახალ წინადადებას. ამ უკანასკნელს დიდ მნიშვნელობას აძლევენ.

ხიუზის განცხადება.

ლონდონი, 2 იანვარი. ინგლისის პრესა აღნიშნავს, რომ სახელმწიფო სეკრეტარის ხიუზის სიტყვაში [illegible] ამერიკის განზრახვა ევროპის ეკონომიურ ფინანსიური მდგომარეობის გაუმჯობესებაში მხურვალე მონაწილეობის მიღების შესახებ.

იტალია და კონფერენცია რეპარაციების შესახებ

მოსკოვი. 2 იანვარი. იტალიის მინისტრთა საბჭოს თათბირზე მუსოლინიმ განაცხადა, რომ მან გადასწყვიტა არ გაემგზავროს პარიზში კონფერენციაზე რეპარაციების შესახებ შემდეგი მიზეზების გამო: მას არ შეუძლია დასტოვოს იტალია არსებულ გამწვავებულ მდგომარეობაში, საზღვარ-გარეთ მას [illegible] ფაშიზმის ბელადად, ვინემ იტალიის პრემიერად, რამაც შეიძლება უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენოს ის სახელმწიფო, რომელიც მას სტუმართმოყვარეობას გაუწევს და ბოლოს, ის არ ფიქრობს, რომ პარიზში მიღწეულ იქნება სწრაფი შეთანხმება.

პოლონეთის ამბები

მოსკოვი. 2 იანვარი. 30 დეკემბერს დაიწყო სასამართლოს პროცესი ნარუტოვიჩის მოკვლის გამო.

— პოლონეთის შინაგან საქმეთა მინისტრი იმუშავებს პროექტს: პოლონეთში 1920 წლის ოქტომბერს შემდეგ შეხიზნულ ემიგრანტების საჩქაროთ გაძევების შესახებ. ოქტომბრის რევოლუციამდე შეხიზნულ ემიგრანტებს კი ეძლევათ უფლება პოლონეთში დარჩენისა მხოლოდ ერთი წლის ვადით. ემიგრანტები, რომლებიც დაამტკიცებენ, რომ ისინი გამოიქცნენ რუსეთიდან [illegible] მიზეზების გამო, არ იქნებიან გაძევებულნი.

პოლონეთის ფინანსიური კრახი.

კრაკოვის გაზეთი „ნოვაია რეფორმა“ პოლონეთის ფინანსიური კრახის შესახებ სწერს: „პოლონური მარკების ემისიამ აგვისტოს პირველ ნახევარში გადააჭარბა 250 მილიარდს და განაგრძობს ზრდას.

30 ივნისიდან 10 აგვისტომდე მთავრობამ აიღო სამინის[illegible] სესხი 40 მილიარდი [illegible]

რაც დაფარული იქნა ახალი კუპიურების გამოშვებით. რამოდენიმე თვის რყევის შემდეგ კვლავ ემისიას მივმართეთ, რაც ყოველ დღიურად უდრის 1 მილიარდს. თუ დავუშვებთ რომ პოლონეთი დღეში უშვებს არა უმეტეს 1 მილიარდი მარკისა, მაშინ წლის დასასრულს ემისია მიაღწევს 500 მილიარდ პოლონურ მარკას და ბიუჯეტის დეფიციტი კი 400 მილიარდს. ჩვენი საზღვარგარეთელი სესხი გამოიხატება 4 ბილიონ პოლ. მარკაში. ჩვენ ვიმყოფებით ნამდვილ ფინანსიურ ანარქიის ხანაში, რომლისაგანაც თავის დაღწევის იმედი ჩვენ არა გვაქვს. ამიტომ არ უნდა გვიკვირდეს, რომ საკითხი „სადღა მივექანებით ჩვენ" ყოველ დღე სულ უფრო და უფრო მწვავეთ გაისმის ჩვენ შორის.

ლოძი გაფიცვების მოლოდინში.

ლოძი. მუშების მიერ ახალი მოთხოვნილებების წამოყენების გამო მოხდა პროფკავშირთა და მრეწველთა წარმომადგენლების კონფერენცია. მრეწველთა წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ მზათ არიან დააკმაყოფილონ მუშების ხელფასის 20 პროც. მომატებით. ეს წინადადება პროფკავშირთა წარმომადგენლების მიერ უარყოფილი იქნა. კონფერენცია დიდი მღელვარებით გაგრძელდა მთელი დღე მეორე დღეს დანიშნული იყო მუშების კრება კონფერენციის შესახებ მოხსენების მოსასმენად. საერთო შთაბეჭდილება ისეთია, რომ გაფიცვებს აუცილებლად უნდა მოველოდეთ.

გაფიცვა ვარშავაში.

ვარშავა. მთავარ სადგურ ვარშავას დეპოს მუშებმა წამოაყენეს მოთხოვნილება სამუშაო ხელფასის 70 პროც. მომატების შესახებ, რის დასაცავათაც გამოაცხადეს გაფიცვა 1 საათით. სწარმოებს მოლაპარაკება გაფიცულთა და რკინის გზის მმართველობის შორის.

ანარქო-სინდიკალისტური ინტერნაციონალი

მოსკოვი. 2 იანვარი. სინდიკალისტურმა საერთაშორისო კონგრესმა ბერლინში დაადგინა შექმნას პროფკავშირთა ახალი ანარქო სინდიკალისტური ინტერნაციონალი, რომელსაც ეკავება შეურიგებელი პოზიცია როგორც მოსკოვის ისე ამსტერდამის ინტერნაციონალთადმი.

2 და 2½ ინტერნაციონალის გაერთიანების გამო

მოსკოვი 2 იანვარი. შვეიცარიის ისლედების პარტიის ცეკამ მიიღო რეზოლიუცია 2 და 2 ნახ. ინტერნაციონალის გაერთიანების წინააღმდეგ. ცეკა აცხადებს, რომ პარტია მზად არის მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო მუშათა კონგრესზე მხოლოდ შემდეგ პირობებში: ესდეკების პარტიები უარს ამბობენ თავის ქვეყნის დაცვაში მონაწილეობის მიღებაზე იმპერიალისტური ომის დროს, ისინი უარყოფენ სამოქალაქო ზავის პოლიტიკას და ვალდებულად სთვლიან თავის თავს აწარმოონ რევოლიუციონური კლასთა ბრძოლა.

ბრიტანეთის კომპარტიაში

მოსკოვი. 2 იანვარი. გაზ. „მორნინგ პოსტი" ათავსებს შიშით აღსავსე წერილებს ბრიტანეთის კომპარტიის რეორგანიზაციის გამო.

რუსეთის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტთან საუბრის დროს ბრიტანეთის კომპარტიის ცეკას მდივანმა განაცხადა: „ბურჟუაზია შეშინებულია პარტიის რეორგანიზაციის გეგმით. ეს შიში საუკეთესო ქათინაურია ჩვენი ახალი ორგანიზაციისათვის, რომელიც მოწყობილია კომინტერნის თეზისების მიხედვით. სამრეწველო ცენტრებში პატარ-პატარა ფილიალები გაერთიანებული იქნებიან ფართო ორგანიზაციაში, არსდებიან საოლქო პარტკომები; დაარსებულია უმუშევართა სპეციალური განყოფილებანი. ინგლისელი კომუნისტები უკვე ეხლავე ხელმძღვანელობენ მუშათა თვითეულ გამოსვლებს, რომელიც კაპიტალიზმს ემუქრება. ახლო მომავალში კომუნისტები იქნებიან უმთავრესი ძალა მუშათა მოძრაობაში".

„უმუშევარი სულთანი"

ლონდონი. თემთა პალატის წევრი კელი შეეკითხა ინგლისის მთავრობას, თანახმაა თუ არა იგი გადასდოს 100 გირ. სტერლ. ერთი კვირის განმავლობაში ოსმალეთის გამოქცეულ სულთანისათვის, რაზედაც გარეშე საქმეთა სტატს სეკრეტარმა განაცხადა, რომ ეს საკითხი თავის დროზე იქნება განხილული. წინასწარ გამორკვეულ იქნება, აქვს თუ არა სულთანს [illegible] შენახული თანხები. მუშათა პარტიის წევრმა ჰკითხა სტატს სეკრეტარს: „თუ გამოირკვა, რომ სულთანი საჭიროებს დახმარებას, იქნება თუ არა ის შეტანილი უმუშევართა სიაში, რაზედაც დეპუტატმა ჯონსმა ადგილიდან დაუძახა: „თავის თავად ცხადია", 16 შილინგი კვირაში და თითო შილინგი გარდა ამისა თვითეულ ცოლისათვის, ჯონსის განცხადებამ საერთო სიცილი გამოიწვია.

სხვადასხვა ამბები

უმუშევრები ინგლისში.

მოსკოვი. 2 იანვარი. ტრედ-უნიონების საბჭომ ინგლისში მიმართა მუშათა ყველა ორგანიზაციებს მოწოდებით მოაწყონ მთელ მხარეში 7 იანვარს უმუშევართა, მუშათა პარტიების და პროფკავშირების პროლეტარული დემონსტრაცია.

ლონდონში უმუშევრების თავის მოყრა გრძელდება. უმუშევართა მთელი ბრბო უახლოვდება ლონდონს. ქალაქის მზრუნველებმა განაცხადეს, რომ მათ არ შეუძლიათ მიიღონ ასეთი დიდი რიცხვი უმუშევრებისა. უმუშევრებმა უპასუხეს, რომ ისინი გათევენ ღამეს ქალაქის იმ ნაწილში, სადაც ცხოვრობენ არისტოკრატები.

ბუკოვინაში.

მოსკოვი. 2 იანვარი. ლვოვის გაზეთი „თავისუფლება" იტყობინება, რომ ჩრდილოეთ დასავლეთი ბუკოვინაში, რომელიც დასახლებულია უკრაინელებით, გამოცხადებულია სამხედრო წესები. ბუკოვინის ბევრ ქალაქებში რუმინიის ხელისუფლებამ დახურა უკრაინული გაზეთები. სწარმოებს მასიური დაპატიმრება უკრაინელებს შორის.

გალიციაში.

მოსკოვი. 2 იანვარი. გალიციაში მყოფი პოლონეთის ხელისუფლები აიძულებენ უკრაინელებს შევიდნენ პოლონეთის არმიაში, წინააღმდეგ შემთხვევაში დაპატიმრებით ემუქრებიან. გალიპოლის სოფლებში დათარეშობენ სამხედრო პატრულები, რომლებიც იჭერენ ჯარში გასაწვევ პირებს.

მოკავშირეების საჰაერო ძალები

მოსკოვი. 2 იანვარი. ინგლისის მთავრობის ცნობით საფრანგეთს ჰყავს 900 ჰაეროპლანი, ინგლისს კი—180. „მანჩესტერ გარდიენი" სწერს, რომ თუმცა საფრანგეთის საჰაერო ძალები გერმანიის წინააღმდეგ არის მიმართული, მაგრამ დღეს ლაპარაკი შეიძლება მათი ინგლისის წინააღმდეგ გამოყენებაზე. თუ საფრანგეთი არ შეამცირებს თავის საჰაერო ძალებს, ინგლისელები იძულებული იქნებიან გაადიდონ ინგლისის სამხედრო ჰაერო პლანების რიცხვი.

უკმაყოფილება საფრანგეთში

მოსკოვი. 2 იანვარი. ინგლისის პრესა გამოსთქვამს უკმაყოფილებას იმ კანონის გამო, რომელიც მიღებულ იქნა საფრანგეთის დეპუტატთა პალატაში, და რომელიც ართმევს უცხოელებს საფრანგეთში მიწის და საზოგადოთ უძრავი ქონების შეძენის უფლებას.

ლიტვის რესპუბლიკის ბიუჯეტი

კოვნო. ლიტვის რესპუბლიკა იძულებულია ომისთვის მზად ჰყავდეს მრავალ რიცხოვანი ჯარი, ამისათვის მისი ბიუჯეტი დიდ დეფიციტიანია. ვილნის გაზეთების ცნობით, სოფლის მეურნეები დიდ გადასახადებს იხდიან, რაც ხშირად აღემატება იმათ შემოსავალს.

ნორვეგია

მოსკოვი. 2 იან. ნორვეგიის პროფკავშირთა ცენტრალურმა ორგანიზაციამ დაადგინა ჩამოშორდეს ამსტერდამს. პროფკავშირთა მომავალმა ყრილობამ უნდა გადასწყვიტოს საკითხი პროფინტერნთან გაერთიანების შესახებ.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

შრომისა და თავდაცვის და საგუბერნიო ეკონომიურ საბჭოს წარმომადგენელთა თათბირი.

მოსკოვი. 2 იანვარი. შრომის და თავდაცვის, საგუბერნიო და საოლქო ეკონომიურ საბჭოების წარმომადგენელთა თათბირზე საფუძვლად მიღებულია კრჟიჟანოვსკის პროექტი რუსეთის რაიონებზე დაყოფის შესახებ. ადგილობრივ მმართველობის პირველ ინსტანციად (უეზდად) განზრახულია ჩაითვალოს სასოფლო საზოგადოება. მეორე ინსტანციას წარმოადგენს თემი, მესამე ინსტანციას—ოლქი (გუბერნია), რომლებიც ერთიანდებიან საოლქო რაიონებში. ამ ჩვეული კომისია ადგილების წარმომადგენელთა მონაწილეობით მთავრობის დადგენილების საფუძველზე პროექტის გამოსამუშავებლათ.

ტუბერკულიოზის სამკურნალო.

მოსკოვი. 2 იანვარი. ტუბერკულიოზის სამკურნალომ რ. ს. ფ. ს. რ.-ში შემოიტანა ტრილიონ ნახევარი მან. სკომმა გაიღო ტრილიონ მანეთი, პეტროგრადმა—200 მილიარდი, ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატმა შეიმუშავა პროექტი ტუბერკულიოზით ავადმყოფთათვის დაწესებულებათა ქსელის შექმნის შესახებ 280.000 საწოლით.

პური ფინლიანდიას.

მოსკოვი. 2 იანვარი. სახელმწიფო ბანკის ჩრდილო დასავლეთის კანტორამ მიჰყიდა ფინლიანდიას პარტია პურისა. გაგზავნილია პირველი 250,000 ფუთი.

ელექტროფიკაცია.

მოსკოვი. 2 იანვარი. კიევში მუშავდება პროექტი მდინარე დნეპრის ტოტის (სახელი გამოურკვეველია) გამოყენებისათვის მახლობელ რაიონების ელექტროფიკაციისთვის. მდინარის ზედმეტს შეუძლია მისცეს 10,000 ძალის ენერგია.

მოსკოვი. 2 იანვარი. სიმბირსკის გუბერნიის ორ სოფელში იხსნება სასოფლო სამეურნეო კურსები 150 მსმენელისთვის.

შაქრის ქარხანა

მოსკოვი. 2 იანვარი. კუბანის შაქრის ქარხანამ მიმდინარე წელში დაამზადა 150,000 ფუთი შაქარი, წარსულ წელში დამზადებულ 13.000 ფუთის მაგიერ.

ცეცხლები.

მოსკოვი. 2 იანვარი. ბუზულუკის მაზრაში სამი სოფლის გლეხობამ დაადგინა მოჰხსნან ყველა ეკლესიებში ზარები და მათი საფასურით შეიძინონ ცხენები.

სტაროიაზკინის სოფლის გლეხობამ ეკლესია გადააკეთა სახალხო სახლად.

სახლები მუშებისთვის.

მოსკოვი. 2 იანვარი. როსტოვის კომუნალურმა მეურნეობამ გადასცა მუშათა კოლექტივებს 64 საცხოვრებელი სახლი ქალაქში. სახლების ჩამორთმევა მუშების სასარგებლოთ გრძელდება.

დახმარება სკოლებს.

მოსკოვი. 2 იანვ. ირბიტის მაზრაში, ბაიკალის საზოგადოების გლეხებმა მოაგროვეს 3,111 ფუთი ხორბალი 11 სკოლის შესანახად.

მოსკოვი. 29 დეკ. სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა მიეცეს უფლება საგუბერნიო ალმასკომებს გძელვადიან და მოკლე ვადიან სესხების აღებისა სახელმწიფო კოოპერატიულ და კერძო წარმოებათაგან და აგრეთვე საზღვარგარეთიდან. გრძელვადიანი სესხის აღება შესაძლებელია მხოლოდ მისი ნამდვილ დანიშნულების განსაზღვრით, როდესაც სესხი საჭიროა განსაკუთრებით ალმასკომის კუთვნილ ქონების და წარმოებათა მოსაწყობ გასაფართოებლად. მოკლევადიანი სესხის აღება 12 თვის ვადით დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ სესხის აღება დაკავშირებულია ადგილობრივი ბიუჯეტის საჭიროებათა შესამაგრებლად. სამ წლიანი და აგრეთვე ობლიგაციის საშუალებით სესხის აღებისათვის საჭიროა ფინანსთა და გარეშე საქმეთა სახ. კომისართა ნებართვა, საზღვარ-გარეთელი სესხის ასაღებად კი ამათ გარდა საჭიროა საგარეო ვაჭრობის კომისარიატის ნებართვაც. სესხის და პროცენტების გადახდა უზრუნველყოფილია ალმასკომის ადგილობრივი შემოსავლით და ქონებით.

საბჭოთა მართლმსაჯულება.

მოსკოვი, 29 დეკემბერი. რევტრიბუნალში დამთავრდა საქმის გარჩევა, რომელიც სამ დღის გაგრძელდა, საბჭოთა თვალსაჩინო მუშაკის მარცის მკვლელობის შესახებ. მთავარ პოლიტიკურ სამართველოს აგენტმა ვოლკოვმა, ნაუმოვის და სხვათა დახმარებით თავის ნებით წაართვა ბინა მარცს და ჩასახლდა შიგ. სასამართლოს გადაწყვეტილებით ბინა კვლავ დაუბრუნდა მარცს, რის შემდეგაც ნაუმოვმა ვოლკოვის წაქეზებით, მოჰკლა რევოლვერით მარცი. ნაუმოვს და ვოლკოვს მიუსაჯეს ათი წლით დაპატიმრება თავისუფლების აღკვეთით. ფორტუსი და სმელჩენკო, რომელთაც ბრალს სდებდნენ თვითნებობაში, განთავისუფლებულნი იქნენ სასჯელისაგან ამნისტიის ძალით. მეხუთე ბრალდებული კედროვი გამართლებულ იქნა.

ამერიკა და რუსეთი

მოსკოვი. 2 იან. ჩიტადან იტყობინებიან, ჩინეთ აღმოსავლეთის რკინის გზის საერთაშორისო კომიტეტის ყოფილმა წევრმა განაცხადა, რომ ამერიკის საზოგადოებრივი აზრი სულ უფრო და უფრო იხრება რუსეთთან დამოკიდებულების აღდგენისაკენ ამ რიკელებს მოიზრდათ რუსის ემიგრანტების ცრუ ინფორმაციები. ამ დღეებში ამერიკის გემთა ზოგიერთ ამხანაგობებს, განზრახვა აქვთ ელად გიხონ მიმოსვლა ამერიკის ნავთსადგურებს და ვლადივოსტოკის შორის.

კომ[illegible]

ბალკანეთის მეხუთე კომუნისტური კონფერენცია.

8—12 დეკემბერს მოსკოვში გაიმართა ბალკანეთის კომუნისტური პარტიების მეხუთე კონფერენცია, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ბულგარეთის, რუმინიის და სამხრეთ-სლავიის პარტიებმა. ბალკანეთის საერთო პოლიტიკურ და ეკონომიურ მდგომარეობის და სხვა და სხვა პარტიების დამოკიდებულების შესახებ, ყველაზე მნიშვნელოვანი [illegible] საკითხებისადმი (ლოზანის კონფერენცია, საკითხი ფრაკციის შესახებ და სხვა) მოხსენება გააკეთა ამხ. კაბაკჩიევმა. კონფერენციამ [illegible] მიიღო რეზოლიუცია, რომელიც სავსებით იზიარებს კაბაკჩიევის მოხსენების დედა აზრს. გარდა ამისა მოსმენილ იქნა ამხ. კოლაროვის მოხსენება ბულგარეთის მდგომარეობის შესახებ, ამხ. პაუკერის მდგომარეობა რუმინიაში და ამხ. რადიჩის მდგომარეობა სამხრეთ-სლავიაში. კონფერენციამ განიხილა აგრეთვე მთელი რიგი საორგანიზაციო საკითხებისა ბალკანეთის ქვეყნებში და სტამბოლში [illegible] და მათ შორის კავშირის გაუმჯობესების შესახებ.

კომინტერნის მეოთხე კონგრესის მნიშვნელობა

ამხ. ტროცკის მოხსენება

1921 წლის მარტის შემდეგ იწყება ევროპაში რეაქციის ეპოქა. საფრანგეთს განაგებს ნაციონალური ბლოკი და საფრანგეთის მტაცებელი ბურჟუაზია პუანკარეს მეტად მემარცხენეთ სთვლის. ჰორიზონტზე მოსჩანს ახალი ფიგურა-რეაქციონერი ტარდიე, რომელიც შესაძლებელია მოჰყვეს საფრანგეთის მთავრობის სათავეში. ინგლისში ლოიდ ჯორჯის სამინისტროს სცვლის ბონარ ლოუს კონსერვატიული მთავრობა. გერმანიაში კოალიციურ მთავრობის ადგილს იჭერს კუნოს წმინდა ბურჟუაზიული სამინისტრო. იტალიაში—მუსოლინის ფაშისტური მთავრობა.

ყველგან ევროპაში კაპიტალიზმი გაძლიერებულ შეტევას აწარმოებს მუშების წინააღმდეგ, აგრეთვე წარმოებს ხელფასის შემცირება და სამუშაო დღის გადიდება. შესაძლებელია ანალოგიის გაყვანა დასავლეთ ევროპის რევოლიუციის და რუსეთის რევოლიუციის შორის. 1905 წლის რევოლიუციონურ აღფრთოვანების შემდეგ რუსეთში დაიწყო რეაქციის ხანა. 1912 წ. იწყება რევოლიუციონურ აღფრთოვანების ახალი ხანა, რომელმაც მიგვიყვანა 1917 წლ. რევოლიუციამდე. რევოლიუციის ორ უმაღლეს საფეხურ შუა განვლო 12 წელმა.

ანალოგიური სურათია ევროპაში. 1918 წ. იწყება რევოლიუციონური მოძრაობა, რომელიც მთელი რიგი დამარცხების შემდეგ, დაბლა იწევს. 1921 წლის მეორე ნახევარში იწყება კრიზისი. ძნელია თქმა როდის დაიწყება ევროპაში რევოლიუციის შემდეგი უმაღლესი საფეხური. შესაძლებელია, რომ მას დასჭირდეს მეტი ან ნაკლები ვადა, ვიდრე რუსეთის რევოლიუციას დასჭირდა. დასავლეთის რევოლიუციას იმატებს ახალი ფაქტორები: კომუნისტური, ცენტრი—კომინტერნი და საბჭოთა რუსეთი. ეს ფაქტორები, რომელთაც ადგილი არ ქონია რუსეთის რევოლიუციის დროს, დიდ სამსახურს გაუწევენ რევოლიუციონურ ბრძოლას დასავლეთში. პესიმიზმისათვის ჩვენ არავითარი საფუძველი არ მოგვეპოვება.

ყველა ქვეყნებში შემჩნეულია კომუნისტურ პარტიების ზრდა და ყველა რევოლიუციონურ პროლეტარულ ელემენტების მჭიდრო შეკავშირება. პროლეტარიატი ორგანიზაციულად მაგრდება. კომინტერნის მეოთხე კონგრესმა საფუძვლად ჩაუყარა საერთაშორისო პროგრამას, რომელმაც უნდა განსაზღვროს მთელ მსოფლიოში მუშათა მოძრაობის მეთოდები.

ჩვენს წინაშე წამოჭრილია ორი ამოცანა: ბრძოლის გაგრძელება კომუნისტურ პარტიის რიგებში არსებულ ცენტრისტულ ტენდენციებთან და მუშათა კლასის დიდი უმრავლესობის ბრძოლის გაგრძელება. კომინტერნის მიერ წამოყენებული ერთიანი ფრონტის ლოზუნგი მუშათა კლასის მონაპოვართა შესანარჩუნებლად ღრმად იჭრება მუშათა კლასის შეგნებაში. ეს ლოზუნგი სავსებით შეთვისებულია საფრანგეთის კომუნისტურ პარტიის მიერ და იგი აქტუალურია გერმანიაშიც. მსოფლიო რევოლიუციისათვის მნიშვნელობა აქვს კიდევ ერთ გარემოებას: ევროპა დამშეული და მონურ დამოკიდებულებაში იმყოფება ამერიკისაგან, რომელიც აწვდის მას პურს. ჩვენ მზად უნდა ვიყოთ უზრუნველვყოთ პურით დასავლეთის აჯანყებული მუშები, ვინაიდან ამერიკა არ მისცემს პურს დასავლეთ ევროპის რევოლიუციონურ პროლეტარიატს. რუსეთის კომუნისტური პარტია მსოფლიო მუშათა მოძრაობის ავანგარდია, ეს აკისრებს პარტიას დიდ საპასუხისმგებლო ამოცანებს. საჭიროა ჩვენი პარტიის რიგებში მთლიანობის შენარჩუნება. ჩვენ აუცილებლად უნდა დავახლოვდეთ პარტიის მასიურ რეზერვებს—მუშურ-გლეხურ ახალგაზრდობას. მაშინ ჩვენი პარტია და საბჭოთა რესპუბლიკა გახდებიან მომავალ მსოფლიო რევოლიუციის ციხე სიმაგრეთ.

უცხოეთის ცხოვრება

ფაშიზმმა მიაღწია მექსიკამდე.

რეაქციონურ კათოლიკური პარტიის მეთაურობით მექსიკის მთელ რიგ ქალაქებში დაარსდნენ ფაშისტური ორგანიზაციები კომუნისტური და საერთოთ მუშათა მოძრაობის წინააღმდეგ საბრძოლველად. მექსიკის ახალგაზრდა ორგანიზაციამ უკვე მიმართა პრეზიდენტ ობრეგონისთვის [illegible] საფრთხილებლად [illegible] თა მაინების თავი დანარჩენ [illegible] მეგობრულ საქმეებს და შეუდგეს კომუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლას. ამავე დროს მექსიკის ფაშისტებმა გადასცეს პრეზიდენტს შეკითხვის ფურცელი, რომლითაც [illegible] 13 [illegible] შესახებ, რომ [illegible] ტები გადაჭრით [illegible] სეს.

საერთაშორისო მუშათა მოძრაობა

გერმანიაში.

რვა საათის სამუშაო დღე

ამ უკანასკნელ დროს გერმანიაში რვა საათის სამუშაო დღის წინააღმდეგ ილაშქრებენ სოციალისტურ პარტიების ცნობილი წარმომადგენლები. ასე მაგალითად, სოციალისტ მაკს კოჰენმა ამ დღეებში წარმოსთქვა სახალხო მეურნეობის საიმპერიო საბჭოში სიტყვა, რომელშიც ის ღიად გამოეკიდა რვა საათის სამუშაო დღის დაცველებს. მისი სიტყვა, რომელიც წარმოადგენს, გადაწყვეტილ გალაშქრებას რვა საათის სამუშაო დღის წინააღმდეგ იმ პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელსაც იცავენ სოციალისტები თავის დეკლარაციებში, ნათლად ამტკიცებს, რომ სოციალისტები ფაქტიურად მზად არიან უარყონ რვა საათის სამუშაო დღე და ასეთ რვა საათის სამუშაო დღის მოწინააღმდეგეთა ბანაკში გადასვლის ინიციატორებს მეტი აღარ ეშინიათ პარტიის ხელმძღვანელების ბრალდების პარტიულ დისციპლინის დარღვევის შესახებ.

განსაკუთრებით გაბედულად ილაშქრებენ რვა საათის სამუშაო დღის მოწინააღმდეგენი სოციალისტურ ბანაკიდან, როდესაც საქმე ეხება ე. წ. თავისუფალ პროფესიის სამუშაო დღეს. ასე, მაგალითად ბერლინის ქალაქის თვითმართველობა ქალაქის ექიმების შესახებ ასიგნოვკების განხილვის დროს სოციალისტურ ფრაქციის თავმჯდომარემ ვეისმა განაცხადა, რომ ექიმებს შეუძლიათ თამამად იმუშაონ რვა საათზე მეტ. ამასთანავე ვეისი შეუთანხმდა ბურჟუაზიულ პარტიების ძირითად დებულებას, იმის შესახებ, რომ არ შეიძლება სამუშაო საათების რიცხვში ჩაითვალოს ეგრეთ წოდებული „საათები შრომის სამზადისისათვის", ეს მეტად საკამათო თეზისი, როგორც ცნობილია აძლევს პარტიებს, საშუალებას წაუყენონ შეტევით რვა საათის სამუშაო დღის წინააღმდეგ, რკინის გზის საქმეებში, რომ, მაგალითად არ ჩაუთვალონ მემანქანეებს რვა საათის სამუშაო დღის ანგარიშში ის საათები, როდესაც ისინი უცდიან ორთქლმავალების გამოცვლას. იმავ დროს ერთმა წყებამ სოციალისტურ მოღვაწეებისა ბურჟუაზიულ პრესის სასიხარულოდ და დასაკმაყოფილებლად შეუთანხმდა გერმანიის წარმოების გადიდებას რვა საათის სამუშაო დღის ხარჯზე ისე, რომ „ბერლინერ [illegible]" [illegible] რომ სოციალისტურ მოღვაწეების უკანასკნელი გამოსვლები ხელმძღვანელ წრეებში [illegible] მუშაობას [illegible] საათის სამუშაო გაუქმებას...

ბრძოლა ლიუდვიგსჰაფენში და მისი მიზეზები.

გერმანიის მუშათა კლასის მდგომარეობა დღითი-დღე უარესდება; რეალური ხელფასი მცირდება და გერმანიის ბურჟუაზია სარგებლობს ამით თავის მეტოქეებისათვის კონკურენციის გასაწევად და ამავე დროს ხელს უწყობს მეტოქე ქვეყნებშიაც მუშათა კლასის მდგომარეობის გაუარესებას.

მუშათა კლასის იმ შეგნებამ, რომ ასეთ მდგომარეობას ბოლო უნდა მოეღოს, გამოიწვია ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების ფართო მოძრაობა.

გერმანიის კაპიტალისტები მაშინვე მიხვდნენ, რომ ეს მოძრაობა დიდ საფრთხეს უქადებს მათ.

აი ამიტომ ისინი ქუჩაში გაყრით ემუქრებოდნენ ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების კონგრესის მონაწილეებს. დამახასიათებელია, რომ ბევრი დელეგატები დაჯერიმებული იყვნენ ფაბრიკანტების მიერ ჯერ კიდევ კონგრესის მუშაობის დროს.

ზოგიერთ ადგილებში მუშებმა ერთსულოვანი გამოსვლით მოახერხეს ამ რეპრესიულ ზომების ცხოვრებაში გატარებისათვის ხელის შეშლა. სულ სხვა გვარად წავიდა საქმე ლიუდვიგსჰაფენის ანილინის ფაბრიკაში (ოკუპანტების მიერ დაჭერილ ოლქში). ამ ფაბრიკის მუშებმა რიცხვით 22.000 კაცმა გაგზავნეს კონგრესზე დელეგატი. უკანასკნელნი დაუყოვნებლივ იქნენ დათხოვნილი. მაშინ მუშებმა მიმართეს იტალიურ გაფიცვის მეთოდს და მიანდეს თავის ფაბრიკა-ქარხნის კომიტეტს მოლაპარაკებოდა ადმინისტრაციას დათხოვნილთა უკანვე მიღების შესახებ. მაგრამ მეპატრონეთა პასუხი იყო—„ლოკაუტი" და ყველა მუშები გაყრილი იქმნენ ქუჩაში.

ამ პროვოკაციამ გამოიწვია დიდი მღელვარება ლიუდვიგსჰაფენის და პფალცის პროვინციის მუშათა შორის და ბოლოს გამოცხადებულ იქნა მთელ პროვინციაში საერთო გაფიცვა.

პროფკავშირთა ადგილობრივი წარმომადგენლები პირველად მერყეობას იჩენდნენ და არ იცოდნენ როგორი პოზიცია დაეჭირათ გაფიცვების მიმართ, მაგრამ ფაბრიკის მუშების დაინტერესებულ შემთანხმებელ კავშირის ცენტრალურმა ორგანოებმა მაშინვე გამოაცხადეს გაფიცვა „ველურად" და უარი უთხრეს გაფიცულებს იმ სუბსიდიების მიცემაზე, რომელიც გათვალისწინებულია წესდებით. მაგრამ ამით არ დაკმაყოფილდენ წინამძღოლები. მწარმოებელთა და საოკუპაციო ხელისუფლებასთან ერთად მათ დაიწყეს ფართო კამპანიის წარმოება გაფიცულთა წინააღმდეგ.

მაგრამ ამ პროვოკაციულმა მეთოდებმა ვერ შეასუსტა მებრძოლ მუშების ნებისყოფა. მუშების მოთმინების ფიალა აივსო, მათმა გაღატაკებამ უკიდურესობამდე მიაღწია. გამოირკვა, რომ გაფიცულ მუშათა ტერიტორიის ბავშვთა ოთხმოცდათხუთმეტი პროც. ტუბერკულოზით არის დაავადებული. ლიუდვიგსჰაფენში, 5 დეკემბერს მომხდარ ქალთა დემონსტრაციის დროს გაიმართა შინელი სცენები. ქალები შიშვლდებოდნენ და უჩვენებდნენ ხალხს, რომ მათ თეთრეული არ აქვთ. როდესაც შემთანხმებელი [illegible] ზეგავლენა მოუხდინათ ქალებზე, რათა მათ დაეყოლიებინებით თავიანთი ქმრები დაბრუნებოდნენ სამუშაოზე, უკანასკნელებმა მკაცრი უარით უპასუხეს. „კმარა, ლაპარაკობდნენ ისინი, რამდენსაც მეტს ვიმუშავებთ ჩვენ იმდენად მეტ გაჭირვებას განვიცდით, ჩვენ აღარაფერს ვკარგავთ; ჩვენ უკვე ყველაფერი დავკარგეთ!"

აი როგორი განწყობილებაა ლიუდვიგსჰაფენის მებრძოლ მუშათა შორის, მიუხედავათ მწარმოებელთა მუქარისა, მიუხედავად პროფკავშირთა ბიუროკრატიის წინააღმდეგობისა, გერმანიის მუშები ენერგიულად აგროვებენ შემოწირულებას გაფიცულთათვის; მაგრამ მაინც მათი ღონისძიებანი საკმარისი არ არის, ვინაიდან გაფიცულთა დასახმარებლად საჭიროა 40 მილიონი მარკა ყოველკვირეულად.

ლიუდვიგსჰაფენში მომხდარ გაფიცვას დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო გერმანიის, არამედ სხვა ქვეყნების მუშებისათვის. რაკი იგი ეხება არა მარტო ფაბრ. ქარხ. კომიტეტებში. მუშათა წარმომადგენლების უფლების შენარჩუნებას, არამედ 8 საათის სამუშაო დღის დაცვასაც.

უნგრეთში

მთავრობა პროფკავშირების წინააღმდეგ.

უნგრეთის მთავრობის პრესაში გამოქვეყნდა ცნობა, რომ შინაგან საქმეთა მინისტრი ამზადებს კანონპროექტს, რომელიც უკრძალავს პროფკავშირებს პოლიტიკურ მუშაობას. მთავრობას განზრახული არ აქვს—არწმუნებენ მთავრობის გაზეთები—რამდენადაც შეზღუდოს სამეურნეო მუშათა ორგანიზაციების თავისუფლება, მას სურს მხოლოდ მომავლისათვის წაართვას პროფკავშირებს ყოველგვარი პოლიტიკური გავლენა.

კანონპროექტით განზრახულია მკაცრი დამსჯელი ზომების შემოღება დადგენილების დამრღვევ პირებს მიუსჯიან ციხეს ორი წლის ვადით და ჯარიმას 10,000 კრონის რაოდენობით.

რამდენად უნგრეთის მთავრობა ცდილობს არ შეზღუდოს მუშათა ორგანიზაციების თავისუფლება, უკვე ჩანს იქიდან, რომ განვლილ 3 თვის განმავლობაში აკრძალული იყო უნგრეთის რკინის გზელთა პროფესიონალური გამოცემანი „რკინის გზელი", „უნგრეთის [illegible]", „სიგნალი", „ლამპა", „სოფლის მოამბე" და „ტრანსპორტის მუშა", სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ბეჭდვითმა ორგანომ ექვსჯერ მიიღო გაფრთხილება ხოლო, მისი რედაქტორის წინააღმდეგ აღძრული იყო ოცდაათი სასამართლო საქმე, რომელიც დამთავრდა 27 თვით ციხეში ჯდომის მისჯით.

ასე ტარდება სოციალური პოლიტიკა იმ სახელმწიფოში, რომლის წარმომადგენლებს ჰქონდათ თავხედობა დაემტკიცებინათ შრომის საერთაშორისო კონფერენციაზე, რომ უნგრეთის მთავრობა მზად არის ყველა საჭირო სოციალ-პოლიტიკურ ღონისძიებისათვის.

სამხრეთ-სლავიაში

მემადნეოთა დევნა.

ბალკანეთის მუშათა წრეები ძალიან აღელვა სამხრეთ-სლავიაში მემადნეოთა დევნამ. წასული წლის დეკემბერში იფეთქა მემადნეების გაფიცვამ ბოსნიასა და გერცოგოვინაში კაპიტალის თავაშვებულ ექსპლოატაციის გამო. სამხრეთ სლავიის მთავრობამ დაუყოვნებლივ დაუჭირა მხარი კაპიტალს და გაგზავნა ბოსნიაში ჯარები აჯანყების ჩასაქრობად. გარდა ამისა ყველა გაფიცული მემადნეები გადასახლებული იქნენ თავიანთ ბინებიდან და თავიანთი ოჯახებითურთ გაყრილ იქნენ ქუჩაში. მუშებს შეეცადნენ წინააღმდეგობის გაწევას და პატარა ქალაქ გუსინში მოხდა შეტაკება მუშებსა, ჯარებს და ჟანდარმებს შორის. ამ შეტაკებამ მისცა [illegible] მთავრობას მუშების კიდევ [illegible] დევნის საბაბი. 800 კაცზე მეტი და მხოლოდ ეხლა თითქმის ერთი წლის კვლევა ძიების შემდეგ დაპატიმრებულნი მემადნეები წარსდგნენ სასამართლოს წინაშე.

მიუხედავათ იმისა, რომ სამხრეთ-სლავიის პროკურატურამ ვერ მოახერხა ვერავითარი დამამტკიცებელი საბუთების წარდგენა იმის შესახებ, რომ ბოსნიაში აჯანყებას ქონდა ადგილი, მიუხედავათ იმისა, რომ დამცველებმა მოახერხეს დამტკიცება იმისა, რომ ამ შემთხვევაში მოხდა მხოლოდ ჩვეულებრივი სოციალური კონფლიქტი ეკონომიურ ნიადაგზე, რომლის დროსაც მთავრობას არ ქონდა არავითარი უფლება მიემართა შეიარაღებულ ძალისათვის, სასამართლომ ყველა დაპატიმრებულ მემადნეებს მაინც მიუსაჯა ციხეში დაპატიმრება და კატორღა, ხოლო ერთ ერთ ბრალდებულ კოვევიჩს სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა. სამხრეთ-სლავიის მემადნეები ბუნებრივად ააღელვა ამ კლასიური იუსტიციის განაჩენმა, მით უმეტეს, რომ სერბ-ხორვატ სლოვენების სამეფოს პარლამენტში ამავე დროს შეტანილ იქნა კანონ პროექტი მემადნეებისას 8 საათის სამუშაო დღის გაუქმების შესახებ. მთავრობა წინადადებას აძლევს პარლამენტს მიანიჭოს [illegible] მადაროების ადმინისტრაციას უფლება გაადიდონ სამუშაო დღე მადაროებში 10 საათამდე დღეში თავიანთ შეხედულებისამებრ.

ბულგარეთის მუშათა პარტიებმ სამხრეთ-სლავიაში მომხდარ ამბ გამო მიმართეს მთელი მსოფლ მუშათა პარტიებს მოწოდებით, გ მოსთქვან სამხრეთ-სლავიის მთავ ბის წინააღმდეგ პროტესტი მი რეაქციონური გამოსვლების გამო

საქართველოს კომპარტიის სამა რო და საოლქო კომიტეტებს

ბიბლიოთე

ცენტრალურ პარტიულ სკოლის სალექტორო კურსის შესახებ

ცირკულიარი

1) მიღება სალექტორო კურსზე დაიწყება 1923 წ. 15 იანვარს და დამთავრდება ამავე თვის 20 ს.

2) კურსი გაგრძელდება ერთ წელიწადს.

3) კურსის მიზანია მოამზადოს კვალიფიციური პროპაგანდისტები, ჯგუფების ხელმძღვანელნი ცენტრალური პარტიული სკოლისათვის, ლექტორები და ხელმძღვანელები სამაზრო საბჭოთა-პარტიულ სკოლებისა და მარქსისტულ წრეებისათვის.

4) კურსი იხსნება შემდეგი კათედრების შემადგენლობით: 1) ბუნებისმეტყველება, 2) ეკონომიკა, 3) ისტორია, 4) დიალექტიურ-მატერიალიზმი, 5) უფლება, 6) პოლიტიკურ-ეკონომიური გეოგრაფია, 7) პარტიული—საბჭოთა აღმაშენებლობა და ტაქტიკა.

5) თავისუფალ ადგილების რიცხვი უდრის—60; განაწილება თბ. კ.—10 ადგილი, ახ. კომ. კავ. ც. კ.—8, ქალთა განყ.—5, სამაზრო და საოლქო კომიტეტებს, თითოს ორ ორი ადგილი, არა ნაკლებ 1 ად. და არა უმეტეს 5 ად. მაზრაზე ან ოლქზე.

6) პარტიულ კომიტეტებს ეძლევა წინადადება გამოგზავნონ სალექტორო კურსებზე, ამხანაგები წლოვანებით არა ნაკლებ 20 წლისა, მინიმუმი 2 წლის პარტიულ ან და კომუნისტურ ახალგაზრდობის სტაჟით, განსაკუთრებით მუშებისა და გლეხებისაგან რომელთაც გამოიჩინეს უნარი თეორეტიულ მეცადინობის და საგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობისა და რომელნიც განირჩევიან თავის ერთგულობით კომ. პარტიის და კომუნისტურ ახალგაზრდობისადმი.

შენიშვნა: გამონაკლის შემთხვევებში განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული ამხანაგები იქნებიან მიღებული ნაკლები პარტიული ან და კომ. ახალ კავშირის სტაჟით.

7) მისაღებ ამხანაგებს მოეთხოვება:

1. სამშობლო ენის და რუსულის ცოდნა.
2. საერთო განათლებითი მომზადება არა ნაკლებ პირველ საფეხურის შრომის შკოლის კურსისა.
3. პოლიტიკური: სულ პირველ ელემენტარული მარქსისტული წრის ან სამაზრო პარტიული სკოლის პროგრამით, მაგალითად, შემდეგ ლიტერატურის მიხედვით:
   1. ბუხარინი—კომუნიზმის ანბანი.
   2. ბოგდანოვი—პოლიტიკ ეკონომიის დაწყებითი კურსი.
   3. კაუცკი—ერფურტის პროგრამა,
   4. რ. კ. პ. პროგრამა.
   5. რ. კ. პ. მე 2 ყრილობა და 3 კომინტერნის კონგრესის რეზოლიუციები.
   6. ბუბნოვი—ჩვენი პარტიის ისტორიის ძირითადი მომენტი,

8. ის პირნი, რომელნიც მისაღებ გამოცდებს დაიჭერენ, იქნებიან დ ვებულნ ორი კვირის განმავლობ გამოსაცდელ მეცადინეობაზე, რ ლის გა ვერ შეითვისებენ პრ რუნებულ იქნებიან ნიზაციათა განკარგულ

9) სალექტორო კურს რობა იწარმოებს რებში სარეფერატო სი სწავლო დღე—8 ს.—8 ლური მეცადინეობისათვის რებში. ლექტორების ხელმძღვან ბით და 5 ს.—სტუდენტთა დამ დებელ მუშაობისათვის მორიგ ნარკვევისათვის მოსამზადებლად. ამისა სტუდენტები სალექტორო კუ სებზე ყოფნის დროს აწარმოებ როგორც პრაქტიკანტები, საერთ განდო მუშაობასაც ცენტრალურ პა ტიულ წრეებში და იაჩე კებში, პოლიტიკურ წრეებში და ია ჩეიკებში და თბილისის ორგანიზა ციის სარაიონო სკოლებში.

10. მეცადინეობის დროს არავით რი შვებულება სტუდენტებს არ მი ცემათ, რადგანაც პირველსა და მეო რე სემესტრის შორის მიეცემათ თვის [illegible] შვებულება.

11. გამოგზავნილი ამხანაგები შევიდიან გამოცდებზე საექიმო შემ მების შემდეგ. ძლიერ სისხლნაკ ლოვანობით, ტუბერკულიოზით, ნერვიული სნით და ისტერიით ავ მყოფნი არ იქნებიან მიღებუ ინვალიდობა მიღებას ხელს არ უშლის.

12. სალექტორო კურსის სტუდენ ტები უზრუნველყოფილი იქნებიან ც. პ. სკოლაში საერთო საცხოვრებელ ბინით, სასწავლო სახელმძღვანელოე ბით, საკურსანტო ულუფით და სას ტიპენდიო ფულით.

13. პარტიულ კომიტეტებს მათ წარმოდგენილ ამხან ეძლევათ არმატურული სიით, ლების ატესტატით, შემოწმებულ პარტიულ ანკეტით და სტუდენტ ბარათით, რომ მიღების ყველა პირ ბები მას გამოცხადებული აქვს.

14. განაწილება არ შეიძლება ხილულ იქნას, როგორც იძულებით მობილიზაცია. გამოგზავნილი უნ იქნენ უსათუოდ ღირსეული ამხან ბი, რომელთაც აქვთ სერიოზ სურვილი სწავლისა და მომზად შინა პარტიულ საპასუხისმგებლო პროპაგანდო მუშაობისათვის. ც. აკისრებს პარტიულ კომიტეტებ პასუხისმგებელ მდივნებს, პირადი პა სუხისმგებლობის ქვეშ სალექტორო კურსის სტუდენტთა კანდიდატები გულდასმით შერჩევას.

ც. კ. მდივანი, სააგიტაციო-საპრო
გამგე მ. კახიანი.

ცენტრალური პარტიული სკოლ
გამგე ხ. ნოვიკოვი.

ს. კ. პ. თბილისი ყველა საოლქო და სამაზ კომიტეტებს

ს. კ. პ. ცენტრალურ ტიულ სკოლის სალექტორო კურსების ლ ტორთა და ხელმძღვანელების სია.

1. ბუნების მეტყველებ. კათედრა:—აკადემიკოსი პროფ. ნავაშინი, პროფ. იუზბაშევი, დოქტ. შიშკინი და სუდაკოვი.

2. პოლიტიკურ ეკონ. კათედრა:—მ. ოროშელიძე. ქავთარაძე, ნოვიკოვი, სმიივი, თალაკვაძე, თათრიშვილი, ლოვსკაია.

3. დიალექტ. მატერიალიზმის კათედრა:—მ. ორახელაშვილი, ნოვიკოვი, ალაგერდიანი, დუდუჩა

4. ისტორიის კათედ.:—მ. ოკუჯავა, ა. ესსენი, ა. თოლოვი, რუბენი, ნ. კიკნაძე, ს. ჩიხე.

5. ეკონომიური გეოგრაფიის კათედრა:—პროფ. დუბენსკ

6. უფლების კათედ.—მ. ოკუჯავა, ს. ქავთარაძე, ა. მიასნიკოვ ელიავა, ი. ცინცაძე, სმირნოვი.

7 საბჭოთა და პარტიულ აღ ნებლობა და ტაქტიკა:—მ. ორა ლაშვილი, მ. ოკუჯავა, მ. ტორო ლიძე, ბ. ლომინაძე, კახიანი, რუ ნი, ა. იზმაილოვი, გინზბურგი, ნოვ კოვი, ვირაპი, ბახუტოვი, ერქომა შვილი, შ. ელიავა, ა. მიასნიკოვი.

8. მეთოდიკის კათედრა:—ყველა კათედრების ლექტორები და ხელმძღვანელები თავიანთ სპეციალ მიხედვით.

ცენტრ. კომიტეტის მდივ
აგიტ. საპროპ. ნაწყოფ. გამგე მ. კახიანი.

ცენტრალური პარტიულ შკოლი
გამგე ხ. ნოვიკოვი.

ამიერ კავკასიის ფედერაციაში

საქართველო.

(საუბარი საქართველოს ცენტრალურ აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ფ. მახარაძესთან. მოსკ. „პრავდა").

ორი [illegible] ხელისუფლების მუშაობა საქართველოში მუდამ სწარმოებდა ორი მიმართულებით. ერთის მხრივ საჭირო იყო მენშევიზმის აღმოფხვრა, გახრწნილ მენშევიზმის ნაშთების მოსპობა, მეორე მხრით—საკუთარი საბჭოთა აღმშენებლობა.

მენშევიზმი აღმოფხვრილია. მე

ეროვნული ბიბლიოთეკა

საშურსათო გადასახადის კამპანია

აღმოსავლეთ საქართველოში გადასახადის აკრება დასრულდა.

როგორც სახალხო სასურსათო კომისარიატს აცნობებენ, თიანეთის მაზრამაც გადაიხადა მთელი 100 პროცენტი, ანუ 20 000 ფუთი ხორბლეულის ერთეული.

ამ რიგად წრევანდელი სასურსათო გადასახადის აკრება დასრულდა მთელს აღმოსავლეთ საქართველოში, სულ აკრებილ იქნა 574 733 ფუთი ხორბლეულის ერთეული.

[illegible] როგორც მთლიანი შეკავ[illegible] პარტიას, მოეპოვა არსე[illegible] წრეში სრული გამარჯვება [illegible]. საქართველოს მენშე[illegible]ზმ. ტფილისში მენშევიკები [illegible] არ სარგებლობდენ გავლე[illegible]ილი ქალაქის პროლეტარიატში საზიზღრობით და სამუდამოთ ზურგი უჩვენა მათ. თვით საქართველოს ობივატელური, წვრილი ბურჟუაზია, მეშჩანური ნაწილიც მენშევიზმის მთავარი დასაყრდენი—მტრულად უცქერის მათ. ჩვენ შეგვიძლია დაბეჯითებით ვ'თქვათ: მენშევიზმი ჩვენთვის არავითარ საფრთხეს არ წარმოადგენს.

გლეხობა ჩვენს მხარეზეა. ჩვენ ვცდილობდით საქართველოს გლეხობა ჩაგვეხა საბჭოთა აღმშენებლობის ორომტრიალში. **მიწის საკითხის მოგვარებამ საბოლოოდ გადმოხარა გლეხობის სიმპატია ჩვენს სასარგებლოდ.** საქართველოს გლეხობა მზად არის აქტიურად და სრული შეგნებით მხარი დაგვიჭიროს ჩვენ. რ. ს. ფ. ს. რ. მიწის კოდექსი გამოვცენეთ საქართველოსათვის ზოგიერთ ცვლილებებით და დამატებებით, რაც გამოწვეული იყო რესპუბლიკის დამახასიათებელ თავისებურობის გამო. საქართველოში მიწის საქმეების მოგვარების სირთულე გამოწვეულია მთელ რიგ მიზეზების გამო, მაგრამ ჩვენს მიერ დავალებული ზომები მიწათ-მოქმედების ორგანოებისადმი, რათა დაამთავრონ მრავალი მუშაობა იქნება განხორციელებული 1923 წლის განმავლობაში.

ვუახლოვდებით ომამდე არსებულ ნორმას. საქართველოს მრეწველობა საერთოდ აღწევს ომამდე არსებულ დროის ნორმას. აქ ჩვენ მივაღწიეთ მთელ რიგ არსებით წარმატებას. **დიდი თუჯის ქარხანა, რომელიც დიდხნით უყურადღებოთ იყო დატოვებული, ახლო მომავალში იქნება ამუშავებული. ეს ქარხანა უზრუნველჰყოფს თუჯით მთელს ამიერკავკასიას.** ტფილისში აშენებულია დიდი სპილენძის დასამუშავებელი ქარხანა, მოწყობილია სასოფლო მეურნეობის მანქანების დამამუშავებელი ქარხანა, გაძლიერებულია ამიერში[illegible] პარკის ამოღების [illegible] მრეწველობისათვის. სამუშაო ხელფასი მრეწველობის ყველა დარგებში აღწევს ომამდე არსებულ რაოდენობას და არსად არ წევს ომამდე არსებულ რაოდენობის 75 პროც. ქვემოთ. ამ მიხედვით **საქართველოს მუშების ცხოვრება ახ პირობებში ძლიერ უმჯობესდება**, განსაკუთრებით შინის მარიგ ლოზუნგი—უკეთესი სახლები მუშებს—ტარდება საქართველოში მტკიცედ და გადაუხვევლად.

ბაზარზე ფასების ხელოვნური ზრდა. ბურჟუაზია კვლავ იმეორებს ცდებს სამონოპოლიოს და ჩვენი დეკრეტების საწინააღმდეგო გვერდის ახვევისათვის. ამ უკანასკნელ დროს თბილისში ადგილი ჰქონდა ბაზარზე პირველ მოთხოვნილების საგნებზე ფასების ხელოვნურ აწევას, რაც მოხდა მხოლოდ ქართულ ბანკნოტების გამოშვების დროს. ფულით სპეკულიანტების განსაზღვრულ ნაწილს სურს ხელი მოითბოს ჩვენი ვალიუტის დაცემით, მაგრამ ჩვენ შევებრძოლებით ამ ბოროტებას და არ დავერიდებით თვით სასტიკ ზომებს.

ჩვენი კულტურული მიღწევანი. საქართველოს კულტურული მიღწევანი იზრდება და ფართოვდება. უკანასკნელ დროს გაიხსნა მთელი რიგი სამეცნიერო საზოგადოებათა: ეტნოგრაფიული, ისტორიული, საექიმო. თუმცა მენშევიკები უცხოეთში გაჰკივიან იმაზე, რომ „წითელი ოკუპანტები" ჰკლავენ საქართველოს ცოცხალ სულს, მაგრამ ქართველ ინტელიგენციის შეგნებულ ნაწილის თანამშრომლობა საბჭოთა ხელისუფლებასთან ყველაზე უკეთესად უარყოფს მენშევიკურ ჭორებს. ხოლო როდესაც შემოთანხმებლები ჩირქს სცხებენ წითელ არმიას, თითქოს ის ახშობდეს „მცხოვრებთა უკმაყოფილებას", ჩვენ პასუხად მიუთითებთ **ქართულ ნაწილების დაარსებაზე, რაც წარმატებით მიმდინარეობს.**

პარტიული ცხოვრება.

საქართველოს კომპარტიის რიგების გაწმენდის შესახებ

(ცენტრალური შემმოწმებელ კომისიის ცნობების მიხედვით)

ფოთი

ფოთის პარტიული ორგანიზაცია გაწმენდის შემდეგ შემცირდა 139 კაცით, ანუ მისი მთელი შემადგენლობის 31,0 პროცენტით.

გამორიცხულთა განაწილება პარტიიდან გასვლის მიზეზების მიხედვით ასეთია; გამორიცხულია—129 კაცი და მექანიკურად გამორიცხ (გაწმენდის ინსტრუქციის თანახმად)—10. ამრიგად გამორიცხულები შეადგენენ—92,8 პროც. და მექანიკურად გამორიცხულები—7,2 პროცენტს.

პარტიიდან გამორიცხულების განაწილება მათი სოციალური მდგომარეობის მიხედვით შემდეგია:

	გამორიცხულნი	დროებ. გამორ.	მექანიკ. გამორ.	სულ
მუშები	80	—	6	86
ხელოსნები	24	—	2	26
გლეხები	10	—	2	12
მოსამსახ. და სხ.	15	—	—	15
სულ	129		10	139

თვითეულ სოციალურ ჯგუფში პარტიულ რიგების შემცირება გამოიხატება შემდეგ პროცენტებში; თვითეულმა სოციალურმა ჯგუფმა გაწმენდის შემდეგ დაჰკარგა: მუშებმა—30,2 პროც., ხელოსნებმა—45,6 პრ., გლეხებმა—37,5 პროც., მოსამსახურეებმა—20,0 პროც. მეტი პროცენტი დაჰკარგეს ხელოსნებში, შემდეგ მათ მისდევენ გლეხები, შემდეგ მუშები და შემდეგ კი მოსამსახურეები და სხვა ინტელიგენტური ელემენტები.

გამორიცხვის მიხედვით პოლიციელობისა და თეთრებთან სამსახურისათვის—8, როგორც არაკომუნისტი, მერყევი და არასაიმედო ელემენტი—23, მექრთამეობისა და პირადი სარგებლობისათვის—3, როგორც ბოროტმოქმედი და ბანდიტი—1, ბანდიტების დაფარვისათვისათვის—1, უპასუხისმგებლობისა და უდიერი მოპყრობისათვის—6, სარწმუნოებრივ წესების დაცვისათვის—1, თანამდებობის ბოროტად გამოყენებისა და თვითმომარაგებისათვის—2, სპეკულიაციის და ვაჭრობისათვის, ინტრიგიანობისათვის—1, სხვისი შრომის ექსპლოატაციისა და კულაკობისათვის—2, პარტიულ დავალებათა აუსრულებლობის და პარტიულ დისციპლინის დარღვევისათვის—36, პასიურ წევრობისათვის (ზედმეტი ბალასტი)—29, პარტიულ სტაჟის გადამეტებისა და ყალბი ცნობის მიწოდებისათვის—1, როგორც სხვა პარტიებიდან შემოპარულები—9, სულ 129. მექანიკურად გამორიცხულები—10.

ცენტრალური შემმოწმებელი კომისია.

შორაპნის მაზრა.

სამაზრო პარტიული ორგანიზაცია გაწმენდის შემდეგ შემცირდა 577 კაცით ანუ მისი შემადგენლობის 51,0 პროცენტით.

გამორიცხულთა განაწილება პარტიიდან გასვლის მიზეზების მიხედვით ასეთია: მექანიკურად გასულია (გაწმენდის ინსტრუქციის 10-ე მუხლის თანახმად)—432 კაცი.

გამორიცხულია—141 და დროებით გამორიცხულია—4, ამგვარად მექანიკურად გასულთა რიცხვი პროცენტულად უდრის 74,9 პრ. გამორიცხულთა—24,4 პროც. და დროებით გამორიც. 6—0,7 პროცენ.

პარტიიდან გამორიცხულთა განაწილება სოციალურ მდგომარეობის მიხედვით ასეთია.

	გამორიცხულნი	დროებ. გამორ.	მექანიკ. გამორ.	სულ
მუშები	4	—	21	25
ხელოსნები	17	—	51	68
გლეხები	111	4	339	454
მოსამსახ. და სხ.	9	—	21	30
სულ	141	4	432	577

პარტიულ რიგების შემცირება თვითეულ სოციალურ ჯგუფში პროცენტულად ასეთია: თვითეულმა სოციალურმა ჯგუფმა გაწმენდის შემდეგ დაჰკარგა: მუშებმა 4,8 პროც, ხელოსნებმა—11,8 პროც. გლეხებმა—78 7 პროც. მოსამსახურეებმა და სხვებმა—5,2 პროც. ყველაზე მეტი პროცენტი დაჰკარგეს გლეხებმა, შემდეგ ხელოსნებმა, შემდეგ საბჭოთა მოსამსახურეებმა და დანარჩენმა ინტელიგენტურმა და ნახევრად ინტელიგენტურმა ელემენტმა, მუშებმა დაჰკარგეს უმნიშვნელო პროცენტი.

გამორიცხვის მიზეზების მიხედვით. თეთრებთან სამსახურის გამო და ყოფილი პოლიციელები—22, არაკომუნისტური, მერყევი და საეჭვო ელემენტი—29, მექრთამეობისათვის—1, პარტიაში კონტრ რევოლიუციონურ მიზნით შემოპარვისათვის—2, ბანდიტიზმის და ქურდობის და სხვა ბოროტ მოქმედებისათვის—7, სამხედრო ბეგარის თავიდან აცილებისა და პარტიული დეზერტირობისათვის—2, კარიერიზმი, და პირადი სარგებლიანობისათვის პარტიაში შემოპარვის გამო—4, ლოთობა, უწესო ყოფაქცევა და უხეში მოპყრობისათვის—6, მორწმუნეობისათვის—4, თანამდებობით ბოროტ მოქმედება და თვითმომარაგებისათვის—2, სპეკულიაციისათვის—16, უზნეო ყოფაქცევა და პროსტიტუციისათვის—1, ინტრიგანობისათვის—1, სხვისი შრომის ექსპლოატაცია და კულაკობისათვის—10, პარტიულ მოვალეობათა არ შესრულება და პარტიული დისციპლინის დარღვევისათვის—16, პასიური წევრობა (ზედმეტი ბალასტი)—3, სხვა პარტიებიდან გადმოსვლისათვის—13, ყოფილი მღვდელი—1, სულ 145 კაცი. მექანიკურად გასულია 432 კაცი.

ცენტრ. შემმოწმებელი კომისია.

პარტიული მუშაობა ბათომის ოლქში.

ამ ბოლო დროს ბათომის ორგანიზაცია იმყოფება წინსვლისა და მუშაობის გაძლიერების პერიოდში.

ნოემბრის პირველ რიცხვებში დამთავრდა გენერალური პერეგისტრაცია ბათომის ორგანიზაციისა.

დიდი ენთუზიაზმით და თანაგრძნობით შეხვდა ბათომის პროლეტარიატი და საერთოდ მშრომელი მასა საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაციულ კავშირს. საორგანიზაციო-საინსტრუქციო კოლეგიას ქონდა საანგარიშო თვეში 4-ხი სხდომა; პარტკომს კი 4. ოლქში ჩასულა ერთხელ საქ. კომპარტიის ცეკას წევრი და ერთხელაც ამიერ კავკასიის საოლქო პარტკომიტეტის წევრი. ცეკადან მიღებულია 8 ცირკულიარული და საინსტრუქციო წერილები. მიღებულია ზომები პარტამხანაგებს შორის წერა-კითხვის უცოდინარობის ალიკვიდაციოთ. უჯრედებს დაეგზავნა ინსტრუქციული წერილები—3. საქალაქო კრებები იყო 3., დასწრება მათზე გამოიხატება 90 პროც. განზრახულია მოახლოვებისათვის მუშათა ფართო კონფერენციების მოწვევა. საანგარიშო თვეში ჩატარებულია კამპანიები: 1. ოქტომბრის რევოლუციის 5-თი წლის თავი და კომინტერნის მე-4 კონგრესი, 2. რუსეთის ახ კომკავშირის მე 5 ყრილობის შედეგები, 3. საბჭოთა რესპუბლიკების კავშირზე, 4. ამიერ-კავკასიის საბჭოთა ყრილობაზე, 5. რუსეთ კავკასიის სააქციონერო საზოგადოებაზე და 6 საბჭოთა პარტ. სკოლისათვის კურსანტების შეკრებაზე.

განსაკუთრებული ელფერით ჩატარდა კამპანია ოქტომბრის რევოლიუციის 5-თი წლის აღსანიშნავად. დღესასწაულში მონაწილეობა მიიღო მთელმა ბათომის პროლეტარიატმა.

11 ნოემბერს დიდი ზეიმით გახსნილ იქნა საბჭოთა პარტსკოლა, რომელშიაც უკვე სწარმოებს მეცადინეობა. შემოღებულია აგრეთვე ტანთვარჯიშობაც: კურსანტები უზრუნველყოფილნი არიან ტანსამოსით, მასწავლებელთა შემადგენლობა სასურველია და თვით სკოლაც საკმაოდ უზრუნველყოფილია მატერიალურად. პარტამხანაგებისათვის წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციოთ პირველ საფეხურის სკოლებმა უკვე დაამთავრეს თავის მუშაობა. სკოლის დამთავრებისას მოწყობილ იქნა გამოცდა, რომლის შედეგები დამაკმაყოფილებელია. იხსნება ახალი სკოლები, ამავე მიზნით, კომკავშირისათვის ქართულ და რუსულ ენებზე. უფრო სუსტად მიმდინარეობს წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია უპარტიოთა შორის. გადაწყვეტილ იქნა მოეწყოს ერთი მუდმივი სკოლა, სადაც მეცადინეობა იწარმოებს კვირაში სამჯერ, იმ პირობით, რომ ამ სამ დღეებში ყველა დაწესებულებებში მუშები განთავისუფლდებიან სამი საათით მოსამზადებლად. გადაწყვეტილია მოეწყოს დაწესებულებებში წრეები, [illegible] პოლიტმომზადების მიზნით.

სერიოზული ყურადღება აქვს მიქცეული პოლიტუცოდინარობის ლიკვიდაციას. პარტკომის მიერ დამტკიცებულ გეგმის თანახმად მოეწყობილ იქნება შემოწმება მთელი ორგანიზაციისა პარტწევრების პოლიტმომზადების გამოსარკვევად. იქმნება მარქსისტული წრე, ცალკე თუ შეგრად პოლიტიკურად უკეთ მომზადებულ პარტამხანაგებისაგან. მიღებულია ზომები მეთოდიური წრის მოსაწყობად. არსებობენ აგრეთვე წრეები უჯრედებთანაც მათი რიცხვი უდრის 4 ს.

მაჰმადიანი ორგანოები გამოდის წინა ანგარიშებში ნაჩვენები წესით, გარდა მუსულმანური გაზეთისა, რომლის გამოცემა შეჩერდა შესაფერ მომუშავეთა უქონლობის გამო. პარტკომი ენერგიულ ზომებს იღებს ამ უკანასკნელი გაზეთის გამოცემის აღსადგენათ. საერთოდ, დიდი ყურადღება აქვს მიქცეული პრესის გაძლიერებას, მისი მასებთან დაახლოვებას. პარტკომის საგიტპროპაგანდო განყოფილებასთან არსებულ კომუ[illegible]რედებისა და მუშა კორესპონდენტების რიცხვიდან მოწყობილი იქნება მოკლე ვადიანი კურსები მუშა კორესპონდენტების მოსამზადებლად. არსებობს მჭიდრო კავშირი მთავარ პოლიტ-განათლებასთან. პროფკავშირებისა და მუშების კრებები იყო 52; ყველა კავშირისა და მუშების კრებები ერთხმად მიესალმებიან საბჭოთა რესპუბლიკების კავშირს. ძირითად კითხვებით მომავლისათვის საგიტპროპაგანდო განყოფილებას მიაჩნია: 1) გამორკვევა პერსონალურად ყველა კომუნისტის პოლიტმომზადებისა მთელს ორგანიზაციაში, 2) გატარება პოლიტ უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლებში პოლიტიკურად სრულიად მოუმზადებელი ამხანაგებისა, 3) ლიკვიდაცია წერა-კითხვის უცოდინარობისა პარტწევრებს შორის, 4) გაძლიერება პარტიული გავლენისა პრესაზე და ფაქტიური ხელმძღვანელობა უკანასკნელზე, 5) გაძლიერება გავლენისა პროფკავშირებზე და კერძოთ პ. კ. ს. კულტგანყოფილებაზე, 6) მოწყობა მარქსისტული [illegible]ისა.

ლეჩხუმის მაზრა.

ა/წ. 22 დეკემბერს დილით პარასკევს შედგა ქ. ცაგერის (ლეჩხუმის მაზრა) პარტ-ორგანიზაციის და ახალგაზრდათა კ. კ. გაერთიანებული კრება, რომელზედაც დაესწრო დაახლოებით 60 კაცი; მოხსენება გააკეთა ამიერ-კავკასიის საბჭოთა ყრილობის მუშაობის შესახებ ამხ. ს. ქაჯაიამ, მან მოკლედ გააცნო კრებას ყრილობის მუშაობის შინაარსი, შეეხო სამხედრო, სამეურნეო და საგარეო საკითხებში ყრილობის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს. ყრილობამ, ამბობს მომხსენებელი, მოიწონა ამიერ კავკასიის საბჭოთა მუშაობა და ერთხმად გამოიტანა დადგენილება საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის შექმნის აუცილებლობაზე.

კრება, მოისმინა რა მოხსენება ყრილობის მუშაობის შესახებ, მიესალმება ამიერ-კავკასიის აღმასკომს და სრულიად რუსეთის საბჭოთა ყრილობას, შეკრებილს წითელ მოსკოვში აღუთქვამს რომ ლეჩხუმის მაზრის ორგანიზაცია და რევოლიუციონური გლეხობა მედგრათ დაიცავენ მუშურ-გლეხურ წყობილებას.

კრება დაიხურა ინტერნაციონალის სიმღერით.

ეკონომიური ცხოვრება

მდგომარეობა თბილისის ბაზარზე.

შემოტანილ ნაწარმოებზე, ფასებმა რამოდენიმედ დაიკლო, ოქროს და საზღვარგარეთული ვალიუტის კურსის დაწევის გამო.

გაიაფდა შაქარი, ბიზი და საპონი. ჩაის, ყავის და კაკაოს ფასები უცვლელია.

ადგილობრივი ხორბალი გაიაფდა. ფასები შემდეგია: ყუბანის ფქვილი „სეიანკა" ფუთი—430—470. „რაზმოლი"—ფუთი—300—330. ამერიკის „ნელსონი"—ტომარა 15 ოსმალ. ქაღ. ლირა. ხორბალი ადგილობრივი ფუთი—240. ქერი ფუთი—170—180. სიმინდი—140—150. ადგილ. პურის ფქვილი—280—320. სიმინდის ფქვილი—160—165. შაქარი რაფ. 3 ტომარა—12.200—12.800. ფხვნილი შაქარი ფუთი—2400—3000. ბიზი ს. ს. „გოლ." 40 იარდი 4 500. რუსეთის არშინი—100—110. საზღვარგარეთის ჩითი იარდი—38—40 პიასტრი. საზღვარ-გარეთის შევიოტი მეტრი—8—9 ოსმ. ქაღ. ლირა.

მარმარილოს საპონი ფუთი—2.200—2 800. მარსელის საპონი ფუთი 50 ც. 25—26 ოსმალური ქაღალ. ლირა.

თბილისის ბირჟა.

ტფილისი. 2 იანვარი. კერძო ბირჟა: ოსმალური ქაღალდის ლირა—400.000 მანეთამდე ოქროს 10 მან.—4.350 000—4.450.000 მან.

სახელმწიფო ბანკის ოპერაციები 30 დეკემბრისთვის.

	გაყიდულია		შესყიდულია	
	რაოდენობა	კურსი	რაოდენობა	კურსი
გირვანქა სტერლ. ბანკნ.	277	3.000	133	2.900
გირვანქა სტერლ. ჩეკით	—	—	885	2 400
დოლარი	30	800	350	660
ოსმალური ქაღალდის ლირა	1.100	365	145	350
ოქროს 10 მანეთიანი	—	3.850	—	—
საბჭოთა	7.730 მილ.	1,5%	77,196	1,4%

ბათომის ბირჟა.

ბათომი. 30 დეკ. კერძო ბირჟა: გირ. სტერლინგი 810—815. დოლარი—185—190. ფრანკი—230—240. იტალ. ლირა—150—160. ოსმალური ქაღალ. ლირა დილაზე—330—340. 12 საათზე—340—350, საღამოზე—345—350.

ტფილისში შრომის და ტვირთზიდვის გადასახადის გამტარებელი კომისიის ანგარიში

შრომის და ტვირთზიდვის გადასახადის გამტარებელმა კომისიამ თავისი მოქმედება ტფილისში [illegible] ამა წლის [illegible]. მის შემადგენლობაში შედიოდენ: ქალაქის აღმასკომის წევრი დ. თაქთაქიშვილი (თავმჯდომარე) სახალხო შრომის კომისარიატის წარმომადგენელი ნ. ნას[illegible] (თავმჯდომარის მოადგილე), ქალაქის აღმასკომის ფინანსიური განყოფილების წარმომადგენელნი მ. ბასილია (წევრი), ა. რუხაძე (პასუხისმგებელი მდივანი), გ. თაყაიშვილი (წევრი) და კომისიის საქმის მმართველი დ. მდივანი.

კომისიის მუშაობა.

კომისიის არსებობის მთელი ხნის განმავლობაში, მოწყობილ იქნა 16 სხდომა, რომელზედაც განხილულ იყო 116 სხვადასხვა საკითხი, პრეზიდიუმს ქონდა 11 სხდომა, სადაც განხილულ იქნა 40 სხვადასხვა ხასიათის საკითხი.

კომისიის მიერ განხილულ საკითხების რიცხვიდან 6 მოუნდა 122 განცხადების განხილვას, რომელნიც შემოვიდენ კომისიაში შრომის და ტვირთზიდვისაგან განთავისუფლების შესახებ; კომისიის პრეზიდიუმის მიერ განხილულ საკითხებიდან 10 მოუნდა 214 განცხადების განხილვას.

სპეციალურად გამოყოფილ კომისიის მუშაობა მიმდინარეობდა ნორმალურად.

კომისიის ცალკე წევრებს დავალებული ქონდათ აკრეფასადმი ყოველდღიური კონტროლი, მისამართთა მაგიდის მუშაობის ხელმძღვანელობა, რომლის საშუალებითაც ფაქტიურად ტარდებოდა გადასახადის სანაცვლო ფულის აკრება და სხვა.

შრომის და ტვირთზიდვის გადასახადისაგან განთავისუფლება.

სანამ კომისია შეუდგებოდა გადასახადის ნაცვლად ფულის აკრებას დამზადებულ იყო ორნაირი, სპეციალურად დანომრილი ბლანკები-მოწმობები, შრომის და ტვირთზიდვის გადასახადისაგან განთავისუფლებისათვის. ერთი მათგანი იყო პროფესიონალური კავშირების წევრებისათვის და მეორე—უმუშევართათვის, სამხედრო მოსამსახურეებისათვის, მოსწავლეებისათვის, დასახიჩრებულთათვის და და ღარიბებს მოქალაქეებისათვის.

ბლანკების განაწილება არა კავშირის წევრების შორის.

ბლანკები მოწმობები არა კავშირის წევრებისადმი დარიგებულ იყო 13300 ცალი, რომელთა განაწილებას აქვე ქვეით მოვიყვანთ. სამხედრო დაწესებულებებს—6039, უმაღლეს სასწავლებლებს—1960, შრომის ბირჟის სახელმწიფო დახმარების და დასახიჩრებულთა განყოფილებებს—2210, ქალაქის აღმასკომის განყოფილებებს—850, კომისიის დადგენილებით კერძო პირთ და დაწესებულებებს—1258, მეეტლეთა კავშირს—41, პარტიულ ორგანიზაციებს—417. ამიერ-კავკასიის რკინისგზელთ—528. სულ დარიგებულ იქნა 13300 ცალი.

ამნაირად, საერთო რიცხვი ყველა გაცემულ გადასახადისაგან გასანთავისუფლებელ ბლანკებისა უდრის 40 907-ს, რაც შეადგენს 65 პროცენ. მამრობითი სქესის 18—50 წლამდე ყველა ტფილისში მცხოვრებ მოქალაქეებისას.

სტატისტიკური ცნობების მიხედვით, ტფილისში ცხოვრობს 300.000 ად- (კაზარმებში მცხოვრებნი არ ითვლებიან) ამ რიცხვს რომ გამოვაკლოთ 52 პროც. დედაკაცებისა, მაშინ მამაკაცები იქნებიან 148.000, აქედან კი შრომის შემძლე, 18—50 წლამდე, (საშუალოდ 40 პროც.) 62.490 კაცი. ყველაზე უფრო ეს რიცხვი შეესაბამება სინამდვილეს. თუ კი აქედან გამოვაკლებთ განთავისუფლებულთა 40.907 კაცს, მაშინ მივიღებთ, რომ ქ. ტფილისში, ნამდვილ გადამხდელთა რიცხვი იქნება 21.493 კაცი, რომლებიდანაც უნდა შემოსულიყო არა 30 მილიარდი, არამედ, როგორც მოველოდით, შრომის გადასახადი 10 750,000 მ. და ტვირთზიდვის კი 500 მილიონი მან. სულ კი—11.250 მილ. მან.

შრომის გადასახადის კამპანიის მსვლელობა.

20 აგვისტოდან 15 ნოემბრამდე შემოვიდა: 13865 კაციდან 1.018.900.000 მ.

ზედ დასახადის დანართის დაწესება.

18 ენკენისთვიდან, გადასახადის ვადაზე შეუტანლობის გამო დაწესებულ იყო გადასახადის ზედ დანართი, 50 ათასი მანეთი, ყოველ ვადაზე გადაცილებულ დღეში. ზედ დანართის ჩათვლა მოსპობილ იქნა 6 [illegible] შემდეგ, რომლის მიხედვითაც დღემდე წარმოებს დანართის გადახდა მხოლოდ 300.000 მ. სულიდან აქვე უნდა აღვნიშნოთ რომ კომისია, ზედ დანართებისაგან ანთავისუფლებდა იმათ, ვინც ჩამოსული იყო ტფილისში დროებით იმათ, ვინც შეუძლებლობის გამო აღნიშნულ დრომდე ვერ შემოიტანა გადასახადი, და კიდევ სხვა მთელ რიგ საპატიო მიზეზების გამო.

ზედდანართი გადაიხადა 2178 კაცმა, სულ 360,400 000 მან.

შრომის გადასახადის შემოსავლის საერთო თანხა.

ამგვარად შრომის გადასახადი თავის ზედდანართით ამა წლის 15 ნოემბრამდე თბილისში 13.865 გადამხდელისაგან შემოვიდა 7.380.300.000 მანეთი. აქ-დან რომ გამოვაკლოთ, კომისიის პრეზიდიუმის დადგენილებით უკან დაბრუნებული 29 450,000 მანეთი როგორც პირველყოფილი შემოსული თანხა, მაშინ დარჩება 7.350,000.000 მანეთი ანუ 69 პროცენტი შესაძლო და მოსალოდნელ გადასახადისა; ნამდვილ გადამხდელთა რიცხვის მიხედვით კი ფულით შეცვლილი გადასახადი შემოიტანა გადამხდელთა 64,5 პროც. განსხვავება, შესაფერ გადამხდელთა რიცხვისა (64 5 პროც.) და შეგროვილ თანხის (69 პროც.) შორის წარმოიშვა ზედდანართების წყალობით, რომლის თანხა შევიდა საერთო შემოსვლის თანხაში.

ტვირთზიდვის გადასახადი.

გაცილებით უკეთეს პირობებშია ტვირთზიდვის გადასახადი. ამ გადასახადმა ჩვენ მოგვცა 6 ენკენისთვიდან 15 ნოემბრამდე 449.720.000 მ., რაც შეადგენს განზრახულ თანხის 88 პროც.

შრომის და ტვირთზიდვის საერთო შემოსავალი.

სულ, შრომის და ტვირთზიდვის შემოსავალი 15 ნოემბრამდე შემოვიდა 7.800.570.000 მან. ანუ მთელი მოსალოდნელ შემოსავლის 69 პროც.

აქედან აშკარათ სჩანს, რომ შრომის და ტვირთზიდვის გადასახადი ქ. ტფილისში ჩატარდა კარგად, რასაც ამტკიცებს 2 | 3 მეტი მიღებულ შემოსავლისა.

შრომის და ტვირთზიდვის გადასახადის კამპანიის ჩასატარებლად 16 აგვისტოს მოწვეული იყო შტატი 36 კაცის შემადგენლობით. 1 ოქტომბრისათვის ეს შტატი შევამცირეთ 8 კაცამდე. 15 ოქტომბრიდან კი წლის ბოლომდე დატოვებული იქნა 2 კაცი სამისამართო მაგიდასთან.

ხარჯები.

მთელი კამპანიის მსვლელობაზე დახარჯულია სულ 588 399.000 მ. რაც შემდეგნაირად ნაწილდება: გაზეთებში განცხადებებისათვის—193.130,000 მ. ტრამვაის ფული კონტროლიორებისათვის—12 000.000 მ. შტატის შენახვა—162,000,000 ზედმეტი სამუშაოსათვის (სახ. შრომის კომისარიატის საკონფლიქტო კომისიის დადგენილებით) 111.236.000 მ. საკანცელარიო ხარჯები 61.917 000 გადასაზიდი საშუალება (ავტომობ.) 48.000,000. დახარჯული თანხა შეადგენს მთელი შემოსავლის 7,5 პროც. რაც აუცილებლად ძლიერ მცირე თანხაა, თუ მივიღებთ მხედველობაში. რომ ყველა ამგვარ და მსგავს გადასახადების კამპანიის დროს იხარჯებოდა მშვიდობიან დროს მთელი შემოსავლის 10-დან 16 პროცენტამდე.

მუშათა ცხოვრება

Коллекция Кап. Федосеева Закупка

საბჭოს არჩევნებისათვის

ამხანაგო მუშებო! ამ დღეებში დაიწყება არჩევნები ტფილისის მ. და წითელ არმიელთა საბჭოში. ტფილისის მშრომელები მოწოდებული იქნებიან განაახლონ ჩვენი ქალაქის ხელმძღვანელი დაწესებულება, რომლის რწმუნების ვადა უკვე დასრულდა.

ემზადეთ არჩევნებისთვის! შეუდექით მის წინასწარ მუშაობას!

მომაკვდავი დარგი.

საქართველოში ხის დამამუშავებელი დარგი განიცდის კატასტროფიულ მდგომარეობას. ახლად აშენება და შეკეთება ძველი საცხოვრებელ ბინებისა თითქმის სრულებით არ წარმოებს. ქალაქებში, თითქმის ყველგან, დაიკეტა საავეჯეულო სახელოსნოები და ამიტომ მთელ რესპუბლიკაში არ წარმოებს მომზადება შეგირდებისა ამ ფრიად მნიშვნელოვან დარგისათვის. ზოგიერთ წარმოებაში, სადაც ჯერ კიდევ მიმდინარეობს ამგვარი მუშაობა, შენიშნავთ, რომ შეგირდები ანუ სრულებით არ არიან, ან და თუ არიან, ძალიან ნაკლებად.

თუ დაუკვირდებით ჩვენი ეკონომიურ და სამეურნეო ცხოვრებას, პირიქით, შეინიშნავთ, რომ ამ დარგიდან გადიან შეგირდები სხვა დარგებში. ამ არა სასურველ მოვლენას ხელს უწყობს მუშას ხელფასის სიმცირე სხვა ეკონომიურ დარგებთან შედარებით, რაც ძალაუნებურად აძლევს ლტოლვას ამ დარგის მოხელეთა შორის სხვა უფრო კარგ პირობებთან სამუშაოში.

ერთი სიტყვით, ხის დამამუშავებელი დარგი, ამ ჟამად განიცდის კატასტროფიულ მდგომარეობას. ბევრმა ამ დარგის მოხელემ, სიბერის გამო უკვე დაკარგა ყოველივე უნარი ამგვარი მუშაობისა; ბევრი ჩვენგანი ხვალ თუ ზეგ მოელის ამგვარ ბედსა. ახლების მომზადება კი, როგორც ვსთქვით, სრულებით არ წარმოებს.

ყველა ეს მიზეზები ამ ფრიად მნიშვნელოვან დარგს უმზადებს დაღუპვას და ახლო მომავალში სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს და პროფკავშირებს სრულიად არ ეყოლებათ ამგვარი მოხელენი. ამიტომ ის უკანასკნელნი ვალდებული არიან მიიღონ ყოველივე ზომები რამენაირად შეინახონ ხის მოხელენი საბჭოთა მომავალ აღმშენებლობისათვის. დღის დღიობით ამ დარგის შენარჩუნება შეიძლება მხოლოდ საერთო, საზოგადო შრომის გაძლიერებით.

მუშა ლაპკინი.

ტრამვაის სახელოსნოები

ტრამვაის სახელოსნოები თბილისში ეკუთვნიან უდიდეს მუნიციპალურ წარმოებას. თავისი სიდიდით, მნიშვნელობით და მუშათა რაოდენობით (315 მუშა) ის მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენს.

კოლექტიურ ხელშეკრულების თანახმად, მუშის საშუალო ძირითადი ხელფასი უდრის აქ 4.000,000 მანეთს. ამას გარდა, მუშაობის ნაყოფიერების აწევის მიზნით, მუშებში შემოღებულია პრემიალური სისტემა, რის გამო მუშა სულ ჯამაგირიანათ იღებს თვეში 6 და ან 7 მილიონ მანეთამდე.

თუ ამას დაუმატებთ „სპეც ტანისამოსის" გაღებას და ტრამვაის უფასო ბილეთს, ცხადი იქნება რომ მატერიალური მდგომარეობა ტრამვაის მუშების, ახლანდელ პირობებში, გაცილებით უფრო მაღლა დგას სხვა დარგის მუშებთან შედარებით.

სახელოსნოებში მუშაობა სწარმოებს მომქმედი კანონმდებლობის ყოველი მუხლის პუნქტუალურად შესრულებით.

მხოლოდ აღსანიშნავია ის, რომ სახელოსნო ვერ არის სათანადოთ დაცული ცივი აღმოსავლეთის ქარიდან, რაც იმოქმედებს მუშების ჯანმრთელობას. იქვს გარეშეა, რომ ადგილკომი, ყოველმხრივ ფხიზელი მზრუნავი მუშების ინტერესებზე, აქაც გამოიჩენს ჩვეულ საქმიანობას და აღმოსავლეთისკენ დაჩქარებით ქვის კედლის აშენების ხელის შეწყობით ბოლოს მოუღებს ამ ერთად ერთ დეფექტს. თვით სახელოსნოები თავის სისრულით და სინათლიანობით წარმოადგენს იშვიათ მოხერხებულ სამუშაო სადგომს.

სინესტე არ ატყვია; სისუფთავეც დაცულია შეძლების დაგვარათ.

კულტურული მუშაობა მუშებში დგას უმაღლეს შესაძლებელ დონეზე. სამკითხველო აწვდის მუშებს გაზეთებს სხვა და სხვა ენებზე. წერა-კითხვის უცოდინარობა დიდი ხანია მოსპობილ იქნა სკოლის დაარსებით. ამჟამად სკოლაში განაგრძობენ სწავლის პირველ დაწყებითი ცოდნის მისაღებათ.

არსებობს ამბულატორია, რომელიც ემსახურება მთელი დაწესებულების შემადგენლობას, რიცხვით დაახლოებით 1500 მეტ სულს და ითვლება საუკეთესო სამკურნალოთ მთელ ქალაქში, შედარებით უზრუნველ ყოფილი მატერიალურად და კულტურულად, ტრამვაის მუშა იმედის თვალით შესცქერის მომავალს და ბეჯითად და ენერგიულად განაგრძობს თავის ნაყოფიერ შრომას.

ალი.

მუშა—თავის ოჯახში

საბჭოთა სახლი № 21, რომელიც ოთხ სართულიანია, გამოჭიმულია მტკვრის ქუჩაზე, წარმოადგენს კარლ მარქსის სახელობის თამბაქოს ქარხნის მუშების ბინას, რომელთა მიერ დაკავებულია დიდი უმრავლესობა ოთახებისა.

დაბინავებულია შიგ 80 სულამდე მუშის ოჯახები და უკავიათ 33 ოთახი გარდა ფიზიკურ შრომის წარმომადგენლებისა, სახლობენ შენობაში აგრეთვე საბჭოთა თანამშრომლებიც საერთო რიცხვით 18 სულამდე და უკავიათ 7 ოთახი.

ოთახები ფრიად განიერი, სინათლიანი და მშრალ კედლებიანია. ამის გამო ოჯახები ძალიან ფართოდ და ჰიგიენურად მოწყობილან, გარდა მეეზოვისა, რომლის სადგომი, მიუჩენული სადღაც ნესტიან, ბნელი და ანტიჰიგიენურ ჯურღმულში, უფრო წააგავს სიბინძურის კლოაკას..

ვიწრო და მიხვეულ მოხვეული რკინის კიბე საღამოობით არ არის განათებული, რაც ფრიად სახიფათო მდგომარეობაში აყენებს მდგმურებს, განსაკუთრებით მცირე წლოვანთ.

მეოთხე სართულის დიდი ნაწილი წარმოადგენს თეთრეულის საშრობს. მაგრამ ამ ეკონომიური კრიზისის დროს არც იმდენი თეთრეული მოეპოვება მუშას, რომ საჭირო იყოს სართული.

მეორე მხრივ ფრიად სასარგებლო იქნებოდა, რომ „საშრობი" გადაკეთებულ იქნეს საცხოვრებელ ბინებად. ეს საქმე არც ძნელია და არც ძვირი დაჯდება, და ბევრს ადამიანური ბინა გაუჩნდებოდა.

რამოდენიმე ოჯახს საერთო სამზარეულო აქვთ. ზოგიერთ დაზიანებულ ოთახების და სამზარეულოს შეკეთება სწარმოებს. საერთო გათბობა-განათება არ არის, თუმცა ელექტრონის მავთულები გაყვანილია. სანიტარული წესები და სისუფთავე, დაცული არის შეძლებისდაგვარად.

ახლად დარიგებულ შეშის გამო, ოთახებში, სადაც თითქმის ყველას უდგას თუნუქის ღუმელი, ზომიერი სითბო არის. კვება მუშებს ზომიერი აქვთ, ბევრი მათგანი ახერხებს კვირაში ერთხელ ხორციანი სადილის ჭამისაც.*) უფრო ხშირათ ლობიოს და პურს ეტანებიან ბავშვები საკოლო ჰასაკის—სკოლაში დადიან. ჩაცმულობა არ არის საკმარისი, ზოგს ბავშვები სულ უშარვლოთ ყავთ, რის გამო ბავშვები თბილ ოთახს ვერ გასცილებიან.

გოგინკა.

---

*) ასოთ-ამწყობის შენიშვნა: კვირაში ერთხელ ხორციანი სადილის ჭამა არც ისე „ზომიერია".

სახელმწიფო დაზღვევა

1922 წ. ოქტომბერში საბჭოთა რუსეთის სახალხო კომისართა საბჭოს 1921 წლის 6 ოქტომბრის დეკრეტით გაუქმებული ქონებრივი დაზღვევა ხელ-ახლა იქნა აღდგენილი, ვინაიდან ახალ ეკონომიურ პოლიტიკის მიხედვით კერძო სამეურნეო მოღვაწეობა შეუძლებელია თუ არ იქნება გარანტია სტიქიურ უბედურებათაგან დაზღვევისა.

ყველა სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკებში სავალდებულო სახელმწიფო დაზღვევის შემოღების აუცილებლობა მშვენივრად დასტურდება სახელმწიფო დაზღვევის მოღვაწეობით სულ მოკლე ხნის განმავლობაში.

1922 წ. 15 ნოემბრისთვის.

დაზღვევას ზარალი,
გადასახ.

1. ცეცხლის დაზღვევამ	775 588.107	43.856.051
2. ტრანსპ.	79.482 638	5.000.000
3. სეტყვის. დაზღვ.	30.264 488	21.205.058
4. საქონლის პირ. დაზღ.	18.923.746	1.112.616
5. ხელახალი დაზღვევამ	18 298.119	1,023.129
სულ	912.602 98	72.796 839

მიუხედავად მუშაობის პირობების სიძნელისა თანამედროვე სამეურნეო ნგრევის დროს, აღნიშნული მუშაობის შედეგები ადასტურებს სახელმწიფო დაზღვევის ნაყოფიერ და რაციონალურ მოღვაწეობას.

ასეთ შედეგებს ჩვენ მით უფრო მივესალმებით, რომ სახელმწიფო სავალდებულო დაზღვევის დებულების თანახმად მთელი შემოსავლის 85 პროც. ხმარდება იმ მცხოვრებთა საჭიროებას, რომელთა დასაზღვევ გადასახადებისაგან იქმნება დამზღვევი ფონდი.

ნ. აბგარიძე.

ბეჭდვითი საქმის მუშაკთა სექციის საერთო-საქალაქო კონფერენცია

ორშაბათს 1 იანვარს განათლების მუშაკთა სახლში შესდგა ბეჭდვითი საქმის მუშაკთა სექციის საერთო საქალაქო კონფერენცია, რომელზედაც მოსმენილი იქნა მთელი რიგი კითხვებისა.

დროებითი ბიუროს ანგარიში. (ამხ. ავენირის მოხსენება) დროებითი ბიურო, რომელსაც მეტად მცირე დრო ჰქონდა დასახული მიზნის განსახორციელებლად, მეტად მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა, რადგან მას არ ჰყავდა სპეციალური კაცი, რომელსაც უნდა ეწარმოებია მთელი ტექნიკური სამუშაო. მხოლოდ უკანასკნელ დროს ტფილისის კომიტეტი დაგვეხმარა და მოგვცა კაცი. მიუხედავად მუშაობის მძიმე პირობებისა ბიურომ მაინც შესძლო მთელი რიგი სამუშაოს შესრულება და მათ რიცხვში შეიმუშავა ტარიფი, გაატარა 20 პროც. მომატება სიძვირის გამო, სწარმოებს მუშაობა ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის ბეჭვდითი საქმის ქვეგანყოფილებასთან მჭიდრო კავშირის დასაწესებლად. დაარსდა ინსტიტუტი რედაქციის რწმუნებულთა რომელთაც დაევალათ გამოარკვიონ თანამშრომლების ჯამაგირის რაოდენობა, თვალყური ადევნონ დამზღვევ კასაში გადასახადის შეტანას და სხვ. ეს ინფორმაციული ხასიათის მოხსენება მიღებულ იქნა მხედველობაში.

სრულიად საქართველოს ყრილობა (ამხ. იონისიანის მოხსენება). კონფერენციის დადგენილების აღსრულებისათვის, რომელმაც აირჩია სექციის სრულიად საქართველოს ყრილობის მომწვევი დროებითი ბიურო, დადგენილ იქნა მოეწყოს კავშირი პროვინციასთან, რისთვისაც გაიგზავნოს ქუთაისში, ბათომში და სოხუმში სპეციალური წარმომადგენლები: ყრილობის პროგრამაში არის შემდ საკითხები: 1) ბეჭვდითი საქმის მ მარეობის შესახებ, 2) დრო ბიუროს ანგარიში, 3) სატ ეკონომიური საკითხი, 4) მ ბიუროს არჩევნები და 5) დელ არჩევა სრულიად რუსეთის ყ ბაზე. წარმომადგენლობის ნორმა წესდება 1 დელეგატი სექციის 10 წევრზე. ტფილისმა უნდა აირჩიოს 20 დელეგატი. ყრილობის მოწვევა განზრახულია 14 იანვრისათვის.

ტარიფი. (გურსკის მოხსენება) ყველაზე უფრო საინტერესო საკითხი, რომელმაც გამოიწვია გაცხოველებული კამათი, იყო მოხსენება ტარიფის შესახებ ახალი ტარიფი აუქმებს რა შრომის ანაზღაურების მრავალფეროვან ფორმებს ცდილობს ამ საქმის მოწესრიგებას უფრო სამართლიანი ნორმის შემოღებით. საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს მიერ ტარიფის დამტკიცების შემდეგ დაიწყება კოლექტიური ხელშეკრულებების დადება სალიტერატურო შრომის ყველა კატეგორიები დაყოფილია 17 ხარისხიან ქსელად. ტექნიკური პერსონალის ხელფასი განისაზღვრება სათანადო კავშირების მიხედვით.

პოლიტგანათლების საქმე პროვინციაში

ბორჯომი

ა. წ. 20 დეკემბერს ქ. ბორჯომში შესდგა პირველი თათბირი პოლიტგანათლების დარგში მომუშავეთა, რომელზედაც მოწვეულ იყვნენ ყველა პროფესიონალური კავშირების წარმომადგენლები, კომუჯრედების მ ბი, თემების პოლიტგანათლ გეები და სხვ. დღის წეს

შემდეგი საკითხები: 1) მიმდინარე მომენტი,—იდეოლოგიური ფრონტი. 2) საანგარიშო მოხსენება პოლიტგანათლების გამგისა 3) ორგანიზაციული კითხვები პოლიტგანათლების მუშაობისა 4) სახალხო განათლების განყოფილების გამგის მოხსენება. 5) მიმდინარე კითხვები. თათბირს თავმჯდომარეობდა ამხ. რუხაძე. გაგზავნილ იქნა მისალმება დეპეშა საქ. კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის და მთავარ პოლიტგანათლების სახელზე. პირველ საკითხზე მოხსენებას აკეთებს ამხ. სიამაშვილი, რომელიც აცნობს თათბირს მიმდინარე მომენტს და ამოცანებს იდეოლოგიურ ფრონტზე, რის შემდეგ მიღებულ იქნა სათანადო რეზოლუცია, წარდგენილი თათბირის პრეზიდიუმის მიერ. შემდეგ ამხ. კიკნაძე (პოლიტგანათლების გამგე) აკეთებს მოხსენებას თავის ნამუშევარზე, რასაც თათბირი სცნობს დამაკმაყოფილებლად დაადგენს: ა) აღძრულ იქნეს შუამდგომლობა მთავარ პოლიტგანათლების სამმართველოს ცენტროპროფკავშირის წინაშე, რათა ქარხნის უცოდინარი მუშები განთავისუფლებულ იქნენ ორი საათით ადრე წარმოებიდან, თანახმად მთავრობის დეკრეტისა, ამ ანის უცოდინართა სალიკვიდაციო სკოლაში სამეცადინოთ.

თათბირი დაიხურა საღამოს 7 ს.

ხ. კიკნაძე.

,,საქართველოს პროლეტარულ მწერალთა კავშირი"-ს დაარსება

შაბათს, 30 დეკემბერს შედგა საქართველოს პროლეტარულ მწერალთა კავშირის დასაარსებლად დამფუძნებელი კრება, პ. ქუთათელაძის თავმჯდომარეობით. დაესწრნენ დიდი უმრავლესობა ამხანაგებისა. დღის წესრიგში იდგა კითხვები: დაარსება „საქართველოს პროლეტარულ მწერალთა კავშირი"-სა, „კავშირის საბჭოს არჩევნები, ლიტერატურული სტუდიის და მუდმივი ორგანოს დაარსება. პირველ საკითხის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. პ. ქუთათელაძემ (სამსონიძემ), რომელიც შეეხო პროლეტარულ მწერალთა როლს და მნიშვნელობას ამ გარდამავალ ხანაში. მან აღნიშნა, თუ რა ძალას წარმოადგენენ საქართველოში პროლეტარული მწერლები, როგორ უნდა მოქმედებდნენ ისინი სალიტერატურო ასპარეზზე, რა გზით შეიძლება საქართველოს მასშტაბით მათი შეკავშირება და რაზე უნდა მიაქციოს პრ. მწერალთა კავშირმა მუშაობის დროს ყურადღება. ერთხმად იქნა მიღებული შემდეგი რეზოლიუცია: „დაარსდეს საქართველოს პროლეტარულ მწერალთა კავშირი". მოხდა არჩევნები კავშირის საბჭოსი არჩეულ იქნენ ამხ. გოგიტო ციმბირელი, პ. სამსონიძე (ქუთათელაძე) და იონა ვაკელი. სარევიზიო კომისიაში არჩეულ იქნენ: ამხ. ამხ. დ. ხიხაძე, ს. შერიძე და ვ. ბესოშვილი. კავშირის მუდმივი ორგანოს შესახებ გაიმართა კამათი. აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ გამოირკვა, რომ აუცილებელია სამხატვრო სალიტერატურო ჟურნალი მიღებული იქნა წინადადება ბეჭვდითი ორგანოს მოწყობის შესახებ, რომელიც გამოვა ორკვირეულად. ამ მოკლე დროში ლიტერატურული სტუდიის შესახებ კამათი არ გახსნილა ამ საკითხის მოგვარება და განხორციელება მიენდო კავშირის საბჭოს.

დამსწრე.

ქრონიკა

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში.

— **პროექტი სახლებისა და აგარაკების სახელმწიფო კუთვნილებათ გამოცხადების შესახებ.** შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა შეიმუშავა პროექტი სახლების და აგარაკების სახელმწიფო კუთვნილებათ გამოცხადების შესახებ, რომელიც უკვე წარედგინა დასამტკიცებლად სრულიად საქართველოს აღმასრულებელ კომიტეტს. პროექტის ძალით სახელმწიფოს კუთვნილებათ შეიძლება გამოცხადებულ იქნენ ის სახლები და აგარაკები, რომელთა პატრონნი საზღვარგარეთ გაიქცნენ და ისეთ პირების ქონება, რომელთაც აქვთ სახლის გარდა, სხვა უძრავი ქონებაც; აგრეთვე სახლები და აგარაკები, რომელთაც აქვთ სახელმწიფოებრივი ხასიათი. სახელმწიფო კუთვნილებათ არ შეიძლება გამოცხადდეს სახლები და აგარაკები ობლების, ავადმყოფების და ომში დაჭრილ-დასახიჩრებულების, არც ისეთ პირების, რომელთაც მხოლოდ თავიანთ საჭიროებისათვის სჭირიათ და ნორმის მიხედვით შეადგენს სრულ საკუთრებას.

— **ვინაობის წიგნაკების პროექტი.** იმ ანარქიისა და სხვა და სხვა წესის მოსასპობლად, რომელიც არსებობს დღეს ვინაობის მოწმობათა გაცემის დარგში, შ. ს. ს. კ. შეიმუშავა მთლიანი და ერთსახიანი ფორმის ვინაობის წიგნაკი მთელი რესპუბლიკის მოქალაქეთათვის. პროექტი წიგნაკისა, დადგენილების და განმარტებითი ბარათისა წარდგენილია სახალ. კომისართა საბჭოში განსახილველად და დასამტკიცებლად.

— **მმაჩის არქივი** მმაჩის მთელი არქივი (4 ათას ფუთზე მეტი), რომელიც გაბნეული იყო ქალაქის სხვა და სხვა სასულიერო ხასიათის კანტორებში, გადატანილ იქნა შინ. საქ. სახალხო კომისარიატის მოქალაქობრივ მდგომარეობის განყოფილებაში.

— **მოქალაქეობრივი მდგომარეობის ჩასაწერი დავთრები.** შ. ს. ს. კომისარიატმა დაბეჭდა 5 ათასი წიგნად მმაჩისათვის საჭირო ყველა დავთარი და დაკვრითი წესით დააგზავნა იგი მთელ რესპუბლიკაში, იმ ანგარიშით, რომ 1923 წ. იანვრიდან ყველა თემის და მაზრის ალმასკომს ექნეს ახალი წიგნები აქტების ჩასაწერად.

— **საკანცელარიო ნივთების მომარაგება.** შ. ს ს. კ. სამნეო განყოფილების საშუალებით დაუგზავნა ყველა მაზრას იანვრის, თებერვლის და მარტის თვისათვის საჭირო საკანცელარიო ნივთები, რითაც სავსებით უზრუნველყო საქმის წარმოება ალმასკომებისა დაგზავნილია ყველა ფორმის დავთარი საქმის წარმოებისათვის.

— **საქართველოს სრული რუქა.** იანვრის პირველ რიცხვებში გამოვა გასასყიდად შ. ს. ს. კომისარიატის ტოპოგრაფიის მიერ, პრ. ჯავახიშვილის რედაქტორობით შედგენილი სრულიად საქართველოს რუქა ქართულ ენაზე რუქა ათ ვერსტიანია

ამ.-კავ. ფოსტა-ტელეგრაფის სახ. კომისარიატში.

— **ცნობების მიცემა ჩაუბარებელ დეპეშების შესახებ.** ამიერ-კავკასიის ფოსტა-ტელეგრაფის კომისარიატმა ცირკულიარული განკარგულება დაუგზავნა ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებათა უფროსებს იმის შესახებ, დეპეშების დამახინჯების და ჩაუბარებლობისათვის პასუხისმგებლობის აღდგენის გამო შემოღებულია ტელეგრაფით საყადაღებული ცნობების მიწოდება ჩაუბარებელ დეპეშების შესახებ.

მიწათმოქმედების კომისარიატში.

— **სამეურნეო დახმარება სოფლის გლეხობას.** მიწად მოქმედების კომისარიატი იმუშავებს მთელ რიგ გეგმებს სოფლის მეურნეთათვის და მიწის მუშა გლეხობისათვის სამეურნეო დახმარების აღმოსაჩენად, განზრახულია, ამ საქმის ნაყოფიერი წარმოებისათვის, ყველა მაზრაში შესაფერი პუნქტების დაარსება. მიღებულია ზომები, რათა შეძენილ და დარიგებულ იქნეს გლეხებს შორის საჭირო სამეურნეო იარაღები; მოეწყოს კურსები, სადაც შეისწავლიან გლეხები მიწის ნაყოფიერ დამუშავებას.

— **შუამდგომლობა.** მიწად მოქმედების სახალხო კომისარიატმა მიიღო მომართვა წერილი ინგლისისა და ამერიკის მეფუტკრეთა საზოგადოებების მთავარ გამგეობისაგან, რომლითაც კომისარიატის წინაშე შუამდგომლობენ, გაუგზავნონ ქართული ჯიშის დედა-ფუტკრები, როგორც ერთად ერთი საუკეთესო მთელ ქვეყანაზე. მიწად-მოქმედების კომისარიატმა გადაწყვიტა დააკმაყოფილოს აღნიშნულ ქვეყნების მეფუტკრეთა საზოგადოებების შუამდგომლობა შეძლებისდაგვარათ.

— **ჯიშიან საქონლის მოშენებისათვის.** ჩრდილოეთ კავკასიიდან დაბრუნებულ ინსტრუქტორის მოხსენების შემდეგ მიწათ-მოქმედების სახ. კომისარიატის მიწათ-მოწყობის განყოფილებამ დაადგინა ჯიშიან საქონლის მომაშენებელი ოლქად „ხუტორი" შეერთებულ იქნეს და შეძენილ იქნეს 10 სული ჯიშიანი საქონელი (შვეიცარიის ჯიშისა).

— **ვენახების მოშენებისათვის.** მიწათ მოქმედების სახ. კომისარიატის მიწათმოწყობის განყოფილების მიერ შემუშავებულ წესების თანახმად, სათონდო მიწებზე ამერიკულ ვაზის კულტურის გაშენების შესახებ, მიწათ-მოქმედების სახ. კომისარიატში უკვე შემოვიდა რამდენიმე განცხადება სოფ. ზემო ხოდაშენის და კონდოლის მევენახეთაგან, რომელთაც შეადგინეს ამხანაგობა და აირჩიეს გამგეობა, შემდეგ კოოპერატიულ ამხანაგობა „კახეთისაგან", „კავშირთ-კავშირისაგან" და ცნობილ მევენახე ლეონიძისაგან, ამ მიწების დათმობის შესახებ. განცხადებებს ამ დღეებში განიხილავენ და სახალხო კომისარის დამტკიცების შემდეგ აღნიშნულ ამხანაგობებს დაეთმობათ ხსენებული სათონდო მიწები

სასურსათო კომისარიატში

— **გადასახადის აკრების დასრულება აღმოსავლეთ საქართველოში.** სასურსათო კომისარიატის ცნობით უკვე დასრულდა სასურსათო გადასახადის აკრება აღმოსავლეთ საქართველოში. გადასახადი გადაიხადა სულ 10 მაზრამ, აკრეფილ იქნა ხსენებულ მაზრებში სულ 574,733 ფუთი ხორბალი.

ქალაქის ალმასკომში.

— **ქალაქის ალმასკომის პლენუმი.** 30 დეკემბერს საღამოს შედგა ტფილისის ქალაქის ალმასკომის პლენუმი, რომელზედაც ამხ. კახიანის მოხსენების გამო დადგენილ იქნა მოხდეს საბჭოს ხელახალი არჩევა. ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში არჩეული არიან ამხ. ამხ. ივანოვ კავკასკი, რუბენი, ბურჯანაძე, საქართველოს წითელ არმიისაგან მარკაროვი და კავკასიის ცალკე არმიის და მემარცხენე სოციალისტ ფედერალისტების წარმომადგენლები.

— **საშობაო მაგიდებზე.** საფინანსო განყოფილების კოლეგიის მიერ დაწესებულია გადასახადი 1200 ათასიდან 1600 ათასამდე მაგიდის სიდიდის მიხედვით. ეს მაგიდები შეიძლება მოეწყოს ვერის მოედანზე, პუშკინის ქუჩაზე და კახეთის, ავჭალის და მოლაკანის მოედნებზე. შობის ხეზე დაწესებულია გადასახადი 10 ათასი მანეთის რაოდენობისა.

— **დახმარება.** ქალაქის ალმასკომის პრეზიდიუმმა დაადგინა აღძრას შუამდგომლობა შრომის სახალხო კომისარიატის სახელმწიფო დახმარების განყოფილების წინაშე, რათა სახალხო სახლის ყოფილ გამგის ჩუბინაშვილის ქვრივს დაუნიშნოს მუდმივი დახმარება.

— **ბაღების გარშემო.** ალმასკომის პრეზიდიუმის დადგენილებით ამხ. ქილენტს დაევალა საქართვ. პროფკავშირთა საბჭოსთან ერთად გამოარკვიოს საერთოდ პროფკავშირების განკარგულებაში მყოფ ბაღების საკითხი

— **ომში დაჭრილ დასახიჩრებულთა კავშირის შესახებ.** ალმასკომის პრეზიდიუმმა ამავე სხდომაზე დაადგინა, ომში დაჭრილ დასახიჩრებულთა კავშირის საწარმოო და წესებულებები განთავისუფლებულ იქნას მიმდინარე წლის დარჩენილ სადარაბო და სატრაქტირო გადასახადებისაგან და ამავე დროს წინადადება მიეცეს აღნიშნულ კავშირს, რომ 1923 წლის 1 იანვრიდან ყველა გადასახადები თავის დროზე იქნეს შემოტანილი ალმასკომის სალაროში, ხოლო პრეზიდიუმის დადგენილება, სადარაბო და სატრაქტირო გადასახადის 50 პროცენტით შემცირების შესახებ ძალაში დარჩება.

— **მუსულმანთა სკოლების შესახებ.** პრეზიდიუმმა მოიწონა და პრინციპიალურათ მიიღო ტფილისის მუსულმან მოსახლეობის შუამდგომლობა, მუსულმანურ სკოლის შენობის აგების შესახებ და დაამტკიცა ხსენებულ სკოლის საამშენებლო კომიტეტი, შემდეგი შემადგენლობით: კულიბეკოვი, ხალიმოვი, რუსამბეკოვი, დადაევი, და ამას ზედა, რომლის თავმჯდომარეთ პრეზიდიუმმა დანიშნა ამხ. ღ. რუხაძე. კომიტეტს დაევალა სასწრაფოთ დაათვალიეროს სკოლისათვის მიჩენილი ადგილი, შეადგინოს სკოლის შენობის გეგმა და ხარჯთ-აღრიცხვა. შენობა უნდა იქნეს შრომის სკოლის პრინციპზე საბავშვო ბაღით და პედაგოგიურ-ტეხნიკუმის ბინებით.

— **დახმარება სოფლებს.** პრეზიდიუმმა აგრეთვე დაადგინა, ლოჭინის და აქვის სკოლების ასაშენებლად დახმარების სახით მიეცეს 50 მილიონი.

— **შესწორების შეტანა ფარულ საქონლის დაკვლის შესახებ დადგენილებაში...** პრეზიდიუმმა დაადგინა, ფარულ საქონლის დაკვლის შესახებ დადგენილება დარჩეს უცვლელად, ხოლოდ დაემატოს მუხლი შემდეგი შინაარსის: სოფლებიდან დაკლული გოჭების ჩამოტანა ნება-დართულია და არავის აქვს უფლება ჩამორთმევის.

სხვა და სხვა.

რედაქციამ მიიღო შრომის სახალხო კომისარიატის და საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს გამოცემული: საქართველოს ,,კალენდარი"-მოქალაქის თანამგზავრი 1923 **Календарь справочник „Спутник гражданина"** კალენდარში ცნობები მოყვანილია ორ ენაზე-ქართულზე და რუსულზე და შეიცავს ექვს განყოფილებას. პირველი განყოფილება წარმოადგენს **წლიურ კალენდარს**, მეორე განყოფილებაში-**საქართველო ციფრებში**—მჯ., ტერიტორია და მოსახლეობა, მესამე განყოფილება — **სახოფლო-მეურნეობა**, მეოთხე განყოფილება—**მრეწველობა**, მეხუთე განყოფილება—**საქართველოს პროფესიონალური კავშირები**, და მეექვსე განყოფილება—**ცნობათა ნაწილი**. კალენდარი სუფთად არის გამოცემული და ღირს 100.000 მან.

ხელოვნება

სახელმწიფო ოპერა.

„ევგენი ონეგინი"

30 დეკემბერს დადგმულ იქნა პ. ჩაიკოვსკის კლასიკური ოპერა „ევგენი ონეგინი".

„კომპოზიტორი ჩაიკოვსკი კონგენიალურია პუშკინის. ძნელია თქმა: რომელი უფრო მიუწვდა ხელოვნების უმაღლეს წერტილს? მე მგონია ორივენი თანაბრები არიან თავიანთ დიდებულ შემოქმედებაში. ჩაიკოვსკიმ სავსებით გაიგო პუშკინის დიდებული შემოქმედება და შექმნა იმისთანა ნაწარმოები, რომელიც დიდხანს დარჩება ყველა საოპერო თეატრების რეპერტუარში.

ოპერა „ევგენი ონეგინი", „პიკის დამა"-სთან და „ფრანჩესკა დი რიმინი"-თან ერთად საუკეთესო ნაწარმოებათ უნდა ჩაითვალოს ჩაიკოვსკის შემოქმედებაში. კომპოზიტორი დიდი სიმფონისტი იყო და თავისი ოპერაც სიმფონიურ მუსიკის მიტყველებით აავსო. არც ერთ ოპერაში არ მოუცია ისეთი დიდებული ლირიზმი მელანქოლიურ ტემპერამენტით დათალხული როგორც ეს „ევგენი ონეგინში".

ოპერა ,,ევგენი ონეგინი" დაწერილია რომანტიულ სკოლის ხაზებით და მისი მომხიბლავი მუსიკა სავსეა მინორული გამებით. დიდებულია ეს მინორი, წყნარი და სევდიანი, რომელიც მხოლოდ რუსეთის მოღრუბლულ ცას შეეძლო წარმოშობა. აქ არ არის სამხრეთის მზის სიცხელე, შმაგი ტემპერამენტი, მაგრამ სამაგიეროდ აქ არის ჰაეროვანი მელოდიური სუნთქვა და ჩრდილოეთის მზიანი დღის განმჭვირვალება

ოპერა „ევგენი ონეგინი" რომ დიდებული ნაწარმოებია ეს იქიდანაც სჩანს, რომ არც ერთ რუსულ ოპერას ისეთი პოპულარობა არ მოუპოვია უცხოეთის სცენებზე, როგორც ეს „ევგენი ონეგინს". ჭეშმარიტად! ეს ნამდვილი ინტერნაციონალური ოპერაა, რომელიც ყველას მოსწონს და ყველას ახარებს.

რეჟისორ ბოგოლიუბოვს ეს ოპერაც ახლად დაუდგამს საერთოდ მისი ახალი დადგმა ოპერების ძალიან კარგია, ეს მომასწავებელია, რომ რეჟისორი ებრძვის სცენაზე შექმნილ რუტინას და არღვევს დიდის ხნით დაკანონებულ ტრაფარეტს, მაგრამ „ევგენი ონეგინის" ახალი დადგმა არ არის მისაღები. რეჟისორი ასცდენია სწორე ხაზებს და მოლიპულ გზაზე დამდგარა ამის შესახებ ბევრი სიმართლე ითქმის, მაგრამ გაზეთის ფარგლები საშუალებას არ გვაძლევს, ვიტყვი მოკლეთ რომ მოქ. ბოგოლიუბოვს ახსოვდეს პუშკინის სიტყვები: „**не мудрствуй лукаво**" ამას გაუწიოს ანგარიში რეჟისორმა და მისი მხატვრული ზომიერება ყოველთვის დაცული იქნება.

შესრულების მხრივ ამ საღამოს ნაკლებად დაგვაკმაყოფილეს მომღერლებმა. ჯერ უპირველესათ მოქ. კავსაძე იყო სუსტი ლენსკის პარტიაში. ასეთი სუსტი ლენსკი ჯერ მე არ მინახავს. ვერც მოქ. ინაშვილი იყო ვოკალურ ხელოვნების სიმაღლეზე. გარეგნობით კი ძალიან მოხდენილი ონეგინია. არა უშავდა რა მოქ. ბაკოვს (ტატიანა) და მუხტაროვას (ოლღა). ყველაზე კარგი შთაბეჭდილება დასტოვეს მოქ. შარაშიძემ (გენერალი გრემინი) მისი კუშტი ბასსი „კანტანტო" ფართლე დიაპაზონით იშლებოდა. მომღერალს კარგი ფრაზიობა აქვს. ეტყობა ვოკალური კულტურა.

არმან დიუგალ.

სახალხო სახლი

(მიმოხილვა)

ძველი წელი ისტორიას ჩაესვენა, მან უეჭველად თან უნდა წაიღოს ყოველივე ხავს მოდებული და დაძველებული, ახალმა წელმა თან უნდა მოიტანოს ახალი სული და ახალი ტკბილები, თეთრწვერა, ძალზე წელში მოხრილი 22 წელი ახალგაზრდა ჭაბუკმა, ახალმა სიცოცხლის ნაკადმა 23 წელმა უნდა შეცვალოს. რევოლიუციის ცეცხლი უფრო უნდა გაღვივდეს და ეს ცეცხლი ხელოვნებასაც უნდა მოედოს. ჩვენ წილად გვხვდა სახალხო სახლის თვალყურის დევნება და ამიტომ ვალდებული ვართ მოკლეთ შევეხოთ მის წარსულს დიდ პატივსა ვცემთ ჩვენი ხელოვნების წარსულს, ვაფასებთ დამსახურებულ ჭაღარა ქურუმებს, მაგრამ ნურავინ გვ ლისება თუ ახალი სულის მოვლინებით და შვილებისაგან მამების დამარცხებით ულრისათ აღფრთოვანებული მიუდგომელი ვიქნებით და სამართლიანათ დავაფასებთ სახალხო სახლის როგორც ახლო წარსულს ისე დღევანდელ მდგომარეობას. ჩვენ გვინდა შევეხოთ წლევანდელ სეზონს, გაკვრით მოვიხსენიოთ შარშანდელიც და მით ცხრაას ოცდა ორი წლის წარსულს ჩავაბაროთ.

სახალხო სახლის ისტორია შარავანდედით არის მოცული. საქართველოს მშრომელმა მასსამ იცის სახალხო სახლის წარსული ისტორია, მისი ღვაწლი საქართველოს პროლეტარიატის მოძრაობის ფურცლებზე ოქროს ასოებით აღიბეჭდება. მაგრამ... ბევრ დადებით მხარეებთან სახალხო სახლს ერთი დიდი მუდმივი ნაკლი ქონდა. ჩამოყალიბდა დასი, შედგა ერთი რეპერტუარი და გათავდა. მოკალათებულნი ახალ ძალებს აღარ იკარებდენ, ახალი პიესების დადგმას ხომ ყოველთვის გაურბოდენ. თუ ვინმე ახალი მიეღლოდა, რაც უნდა ნიჭიერი ყოფილიყო, გასაქანს არ მისცემდენ. მართალია ასეთ ,,თავმოყვარეობა"-ს ყველა სცენაზე აქვს ადგილი, ყველგან არის ჯიბრობა, ძველებს ახლები ეზარებათ, მაგრამ სახალხო სახლში, როგორც მუშების თეატრში, ეს არ უნდა ყოფილიყო. ახალი პიესები ვერ იდგმებოდა, რადგანაც ძველი მსახიობები, რომელნიც ცაგარელის სკოლით აღიზარდენ ახალ სულს ვერ შეიგნებდენ. ვერავინ იტყვის, რომ რეპერტუარი რევოლიუციონური არ ყოფილიყო, მაგრამ დამერწმუნეთ ერთი და იგივეობა, ერთნაირი მიზანსცენები, ერთი მსახიობის ოცი წლის განმავლობაში ერთსა და იმავე როლში დანახვა უეჭველად მოსაწყენია. ასეთი მაგალითები სახალხო სახლში ძალიან ხშირი და სისტემატიური იყო. გოცირიძეს, თავდგირიძეს, მეტრეველს და სხვებს ვხედავდით მთელი ხუთმეტი წლის განმავლობაში ერთსა და იმავე როლებში, შაბლონიური მიზანსცენებით. მე ამითი არავის დამცირება არ მინდა, ნიკო გოცირიძეს იცნობს ხალხი და მისი ღვაწლი დაფასებული არის. ჩვენ ამითი გვინდა ვთქვათ, რომ თეატრს არ უყვარს შაბლონი, თეატრი მუდამ ახალი უნდა იყოს. 21 წლის სეზონი ამ მხრივ უეჭველად აღსანიშნავია მართალია ამ წელში ვერ მოხერხდა რუბიკონის სრული გადალახვა, მაგრამ ახალი სული მაინც ჩაისახა, რუტინა გაირღვა, კარჩაკეტილობა მოიპო. დაწყებული რევოლიუცია 22 წლის სეზონში გაღრმავდა, მუდამ ახალგაზრდა შალვა დადიანმა თავის გარშემო ახალგაზრდობა შემოიკრიბა. ძველები შეშფოთდენ, დამდგარი წყალი დაიძრა. და ისინი ვინც სახალხო სახლის სცენაზე თმა შევერცხლილან, მოხუცებულან, მაგრამ გული ყოველთვის ახალგაზრდა ქონდათ ახალი ენერგიით ჩაებენ ხელოვნების რევოლიუციაში. უმცირესობა შეურიგდა ბედს, რადგანაც ბრძოლის გაგრძელება აღარ შეიძლებოდა: შალვა დადიანით სახალხო სახლის ისტორიაში ახალი ხანა დაიწყო; დაიდგა რამდენიმე ახალი პიესა, ითამაშეს არტისტულად ახალმა ძალებმა და გამარჯვების თავდები ის არის, რომ ქართულ წარმოდგენების დროს კასაში ბილეთები აღარ იშოვება ხოლმე. ამასთან ერთად აღსანიშნავია პრესის ახმაურება, ყველა ჟურნალ-გაზეთები აღნიშნავენ სახალხო სახლის ქართული დასის გაახალგაზრდებას, მის ტეხილებს. არც ერთი ახალი პიესა არ დადგმულა, რომ პრესას თავისი სამართლიანი კრიტიკული სიტყვა არ ეთქვას. მესამე თვეა რაც სეზონი დაიწყო. დადგეს 22 პიესა და მათში ნახევარი თითქმის ახალია და ზოგიც სახალხო სახლის სცენისთვის სრულიად უცნობი: ჯაკის სამართალი, უგვირგვინო მეფენი, ბეჭქორი, დამზრალი წალკოტი" და სხვ. ამნაირად სეზონის პირველი ნახევარი, რომელიც ძველ წელიწადში გამარჯვებით მიმდინარეობდა შალვა დადიანის და ახალი ძალების დაუშრეტელი ენერგიით ახალ წელიწადში უფრო წინ წავა და ხელოვნების სრული გამარჯვებით დამთავრდება. უსურვოთ სახალხო სახლს გამარჯვება და ვთხოვოთ მთავრობას, რომ სახალხო სახლის დასს მეტი ყურადღება მიაქციოს.

ხელოვანი.

— **ა. სუმბათაშვილ იუჟინის იუბილე-ბენეფისი.** დღეს, სახელმწიფო ოპერაში გაიმართება ა. სუმბათაშვილ-იუჟინის საიუბილეო-საბენეფისო საღამო.

პროვინციაში

თელავის მაზრა

მოხდა თუ არა გასაბჭოება საქართველოში, თელავის მაზრის მშრომელი გლეხობა შეუდგა თავის დიადი მიზნების განხორციელებას.

ძველ რეჟიმის და მენშევიკების დროს, მშრომელ კლასს არ შეეძლო მის საკუთრივ დღეოთ, შეეწყო ხელი პროლეტარული კულტურის საფუძვლის ჩაყრისათვის და აღორძინებისათვის, მას არ ჰქონდა ისეთი დაწესებულება, როგორც არის: მუშათა კლუბები, თეატრები, სახალხო სახლები და სხვა. ვინაიდან მთავრობა არ უწევდა არავითარ დახმარებას და ხელმძღვანელობას. მაშასადამე მშრომელი გლეხობის სულიერი მოთხოვნილებას არავინ აქცევდა ყურადღებას.

ეხლა ენერგიული მუშაობა სწარმოებს ამ საკითხის მოსაგვარებლათ და გლეხებმაც შეიგნეს ის დიადი მოვლენა. მაგალითად თელავის მაზრის ერთ რაიონში სოფ. ყვარელში გადატრიალების დღიდან დაიწყეს სახალხო სახლის შენება, რომელიც მალე დამთავრდება. სამაზრო ალმასკომი უწევდა ნაწილობრივ დახმარებას დანარჩენი კი ადგილობრივ საშუალებებით კეთდებოდა.

24 დეკემბერს თელავის მაზრის ალმასკომის პრეზიდიუმის სხდომამ დაადგინა: „გადაეცემულ იქნას 300 ფუთი ხორბალი ყვარელის რაიონის სახალხო სახლის სასარგებლოდ".

ფშავლის რაიონში ოქტომბრის დღესასწაულის 5 წლის თავზე ფილიპე მახარაძის სახელზე საძირკველი ჩაეყარა სახალხო სახლს. [illegible] უკვე შეუდგა დახელოვნებული პირები. გეგმა შენობისა იქნა წარმოდგენილი სამაზრო ალმასკომში, რაც მიღებული იქნა და კიდევაც დახმარება აღუთქვეს.

იყალთოს რაიონში გლეხებმა კინო შეიძინეს. თვით ქალაქ თელავში მცხოვრებლებზე ლაპარაკი ზედმეტია. აქ დღიდან გადატრიალებისა არსებობს სამი თეატრი, მუშათა სახლი, ბიბლიოთეკა სამკითხველოები (ასევე ყველა რაიონებში).

თელავის მაზრაში უნდა ითქვას, რომ გლეხები აღვიძებენ. ჯერ არ ახსოვს კახეთს აქ ყოფილიყოს ასეთი ტენდენცია—განიარაღებისაკენ—სწავლისკენ. სამაზრო ალმასკომი ეხმარება ყოველივე იმით, რითაც შეუძლია. საჭიროა ჩემის აზრით მაგალითისთვის ცენტრმაც მიაქციოს ცოტაოდენი ყურადღება, მატერიალურის მხრივ, რათა წააქეზოს სხვა და სხვა კუთხეებში მყოფი, ჯერ კიდევ ბურჟუაზიული ბურუსით მიძინებული მშრომელი გლეხობა.

თელავის მაზრის ჯანმთელობის განყოფილებას ჰყავს ხუთი კაცი მაგარი შტატით და 42 ადგილობრივი საშუალებით. ის 15 პროც., რომელსაც ღებულობს ადგილობრივ ალმასკომის შემოსავლიდან ვერ ფარავს გასავლის 18 პროც. მეტს. ჯანმთელობის განყოფილების დარგში მომუშავეები ჩავარდნენ უხერხულ მდგომარეობაში, როდესაც საექიმო პუნქტებში შემოღებულ იქნა ცოტაოდენი გადასახადი, გლეხებმა სიარული შესწყვიტეს. თუ მოდიოდა დღეში 30—კაცი ეხლა მოდის ორი ან სამი (თუმცა გადასახადი უდრიდა 20—30 ათას მანეთს), რაც ავადმყოფობას ხელს უწყობდა. ასეთივე მოვლენა მოხდა განათლების დარგში. მას 150 კაცამდი ყავს შტატში ადგილობრივი შემოსავლით. ალმასკომის შემოსავლიდან ღებულობდა 30 პროც. ხოლო ის თანხა ფარავდა გასავლის 18 პროც რის მეოხებით არ შეიძლებოდა განათლების საქმის გაფართოვება გაძლიერება და ყოველ წელიწადში 50-მდე ბავშვები რჩებოდნენ სკოლის გარეთ.

თელავის მაზრას ალმასკომმა მიაქცია ყურადღება ასეთ მოვლენას და დაადგინა: „შემოღებულ იქნას სასკოლო და სასანიტარო გადასახადი ქალაქს და მაზრის მასშტაბით.

მიენდოს საფინანსო საბიუჯეტო კომისიას გამოიმუშაოს გადასახადის ტეხნიკური მხარე და წარმოუდგინოს დასამტკიცებლად სამაზრო ალმასკომს".

ეს ნაბიჯები ალმასკომისა, მიზანშეწონილია და მისაღებია მხოლოდ— ამ გზით შეიძლებოდა ჯანმთელობის, განათლების განყოფილებების დარგის წინსვლელობა და წარმატება.

ირ. კაზირი.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 66.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

მე 9 №-რით გამოცემული დეკრეტის დამატების შესახებ.

კერძო მფლობელობის სახლებში ბინების შესახებ მე-9 №-ით გამოცემული დეკრეტის დასამატებლად საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1) ბინის ქირის გადამხდელთა პირველ კატეგორიაში ჩაირიცხოს აგრეთვე ის პროფესიონალური კავშირის წევრი, რომელიც სახელმწიფო, საზოგადოებრივი და კერძო დაწესებულების და საწარმოო სამსახურში არ იმყოფება, უკეთუ ის თავის ხელობით მარტოხელა მომუშავეა (ხურო, მღებავი, გადამხურავი, ტვირთმზიდავი მუშა და სხვ.).

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე მ. ორახელაშვილი.

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი ალ. სალარიძე.

1922 წ. დეკემბრის 30

ტფილისი—სასახლე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— ოთხშაბათს, 3 იანვარს 1923 წელს საღამოს 5 საათზე შესდგება გაფართოვებული სხდომა სატრანსპორტო საბჭოს, ცეკას სატრანსპორტო ქვე-განყოფილებაში. სხდომაზე მოწვეულნი არიან შემდეგი ამხანაგები:

1. ამიერ-კავკასიის რკინის გზის პროფკავშირის საორგანიზაციო და კულტურულ-განმანათლებელ განყოფილების გამგე.
2. ამიერ-კავკასიის რკინის სამმართველოს პოლიტიკურ სამდივნოს მდივანი.
3. ცეკას აგიტპროპის განყ. გამგის მოადგილე.
4. ცეკას ქალთა გან. გამგე
5. ახალგაზრდათა კომკავშირის ცეკას მდივანი.
6. პირველი რაიონის მდივანი.
7. ტფილისის რკინის გზის პროფკავშირის საუბნო კომიტეტის ფრაქციის მდივანი.

ცეკას სატრანსპორტო ქვე-განყ. გამგე: შუშანია.

განცხადებები

ალმასკომის საფინანსო განყოფილება
ერთხელ კიდევ აძლევს წინადადებას სახლის მფლობელთ,
რომ უკანასკნელი ვადა ქ. თბილისის
სახლების რეგისტრაციისა
გრძელდება 1923 წ. იანვრის 20-დის, რომლის შემდეგ არავითარი განცხადებები რეგისტრაციის შესახებ არ იქნება მიღებული.
სახლები, რომელნიც დარჩებიან რეგისტრაციაში გაუტარებელი ჩამორთმეულ იქნებიან მუნიციპალიზაციის ძალით, როგორც უპატრონონი.
საფინანსო განყოფილების გამგე მ. ბახილია.
შეფასებითი მაგიდის გამგე გლ. ფურცელაძე. 827 (2—2)

მათემატიკის მასწავლებელი
ი. მ. მაჩაიძე
იღებს მოწაფეებს მოსამზადებლათ ტეხნიკუმის, შრომის სკოლის და საერთო განათლების კურსებზე ყველა კლასებში შესასვლელად. აგრეთვე ასწორებს ჩამორჩენილ მოწაფეებს მათემატიკაში, რუსულ, გერმანულ ენებში. პლეხანოვის [illegible] ქუჩის კუთხე № 25—5,
ნახვა 9—12 და 2—5 ს.
3—3)

ქ. თბილისის ალმასკომის გადასახადთ
ბიურო
აცხადებს, რომ ახლო მომავალში საჯარო ვაჭრობით გაცემული იქნე დეზერტირის ბაზართან, ანდრეევის და საბაყოს ქუჩების შუა მდებარ თავისუფალი ადგილები, ბაზრის მოსაწყობათ. შეჯიბრების დღე იქნება ცალკე გამოცხადებული.
პირობების გაგება შეიძლება საფინანსო განყოფილების მდივან ახვლედიანთან ოთახი № 14.
კრ. 88—3—2

გამოვიდა და იყიდება
საქართველოს კალენდარი 1923 წლისა
„მოქალაქის თანამგზავრი"
ორ ენაზე:
ქართულზე და რუსულზე
გამოცემა შ. ს. კ. და ს. პ. ც. ს.
კალენდარში მოყვანილია ცნობები:
საქართველოს სოციალურ და ეკონომიურ სტრუქტურის შესახებ და პარალელურად შედარებითი ცნობები აზერბეიჯანის, სომხეთის და სხვა სახელმწიფოებისა.
კალენდარში მოთავსებულია შრომის და მიწის კანონმდებლობა და სხვა და სხვა საჭირო ცნობები
თითო ცალის ფასი 100 ათასი მან.
პარტიულ და პროფესიონალურ ორგანიზაციებს დაეთმობათ 20 პროცენტის დაკლებით
კალენდრების შეძენა შეიძლება შრომის სახალხო კომისარიატში.
(კრ. 1—2—1)

რ. ს. ფ. ს. რ. რ. ს. ფ. ს. რ.
რეზინო-ტრესტის
ტფილისის განყოფილება
აცხადებს, რომ რეზინის ნაწარმოების მიღება შეიძლება:
თბილისში—რეზინო-ტრესტის საწყობში. სოლოლაკის ქ. № 4.
ქუთაისში—კოოპერატივების რაიონულ კავშირში და ამხანაგობა გრემი.
ბათომში—რეზინო-ტრესტის თბილისის განყოფ. წარმომადგენელთან. ოგლობლინსკის ქ. № 12.
ერევანში—დროებით შეიძლება მიღება რ. ს. ფ. ს. რ. სახელმწიფო ბანკის საწყობში.
კრ. 812—3—3

სახლი
განმარტოებულათ მდგარი და თავისუფალ ბინით, ვისაც უნდა იყიდოს ან გაყიდოს უნდა მიმართოს მამადავითის ქუჩა № 3, ბინა № 2, რუსთველის პროსპ. გვერდით 11—2 საათამდე და 5—7 საათამდე.
ხ91—12—11

ელექტრონის და სინათლის
სამკურნალო
საწოლებით. რენტგენი დ'არსონვალი
მიხეილ გედევანიშვილის სახელობით
ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის—რომელნიც ფიზიკურ მეთოდებ ექიმობას საჭიროებენ. ექიმობა სიფილისის ნერვიულ გართულებათა.
საავადმყოფო სწარმოებს ექ. სვიმონ უიფშიძის ხელმძღვანელობით. ტფილისი, კოლანოვის ქ. № 20. (733—25—4)

დოკტორი გ. მეგრაბიანცი
ყ. ასისტენტი ბერლინის უნივერსიტეტის კლინიკებისა"
შინაგანი ფილტვების—ელექი და გულის ავადმ. სპეც. წამლობა
შაშ. 914 რენტგენის სინათლის—ელექტრონის წამლობის კაბი
ღებულობს 9—12 ს დღის და 5—7 ს. საღ.
ბებუთოვის ქუჩა № 23. (68425—

დაიკარგა სტუდენტ ბენიდიქტე ექვთიმეს ძე ჩიქობავას პირადობის მოწმობა გაცემული ტფ. სახელმწ. უნივერსიტეტიდან № 1169, ჩაითვალოს გაუქმებულად. (1 1—

დაიკარგა ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან მოცემული პირადობის მოწმობა სოციალურ-ეკონომიური ფაკულტეტის ეკონომიური დარგის 1 ლი კურსის სტუდენტმა ანდრო სიმონიამ, ჩაითვალოს გაუქმებულად. (2 1—1)

ტირაჟი 15,000 ი. ს. დ. ც.

საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პოლიგრაფიულ გა[illegible]ლების №-1 სტამბა [illegible] ქ. № 4.